მოსწავლეთა კომპეტენციების განვითარება eTwinning-ის მეშვეობით

2014 წ.

გამომცემლობა
eTwinning-ის ცენტრალური მხარდაჭერის სამსახური
www.etwinning.net
European Schoolnet (EUN Partnership AISBL)
Rua de Treves 61- 1040 ბრიუსელი, ბელგია
www.europeanschoolnet.org

რედაქტორი
კლერ მორვანი

ავტორები

ენ გილერანი
კეროლაინ კერნი

დიზაინი
კლერ მორვანი

ენობრივი რედაქტირება
დანოშ ნაშროლაი

ორიგინალური დიზაინი
Ditigal Ink

ბეჭდვა
HOFI

ISBN ISBN 978-9491440618-8

9 789491 440618

გამოქვეყნდა 2014 წლის დეკემბერში. პუბლიკაციაში გამოხატული მოსაზრებები ეკუთვნის მის ავტორებს და არა ევროპული სქულნეტს ან eTwinning-ის ცენტრალური მხარდაჭერის სამსახურს. პუბლიკაცია მომზადებულია ევროკავშირის Erasmus+ის პროგრამის ფინანსური მხარდაჭერით. პუბლიკაცია ასახავს მხოლოდ ავტორების მოსაზრებებს და ევროკომისია არ არის პასუხისმგებელი წარმოდგენილ ინფორმაციაზე.

სარჩევი

შესავალი 4

კომუნიკაცია მშობლიურ ენაზე 9

Twinnies [illegible] 12

Bookraft 12

ევროგიდი 18

Moi,toi,lettresànous 19

მათემატიკური კომპეტენცია და ძირითადი კომპეტენციები მეცნიერებებსა და ტექნოლოგიებში 21

SOHO:SunspotsOnline ჰელიოსის ობსერვატორია 23

[illegible] 23

ციფრული კომპეტენცია 26

მოლაპარაკე სურათები 28

ამბები ისტორიაში 29

სწავლა სწავლისთვის 32

რეპორტაჟი საზღვრების გარეშე 35

სოციალური და სამოქალაქო კომპეტენციები 39

დახლოება 42

ცისარტყელა სოფელი 44

ჯანმრთელობა ცხოვრებისთვის 46

ენ გილერანი - უფროსი პედაგოგიური მრჩეველი 48

ინიციატივის და მეწარმეობის გრძნობა 50

ფოტოგრაფია როგორც პედაგოგიური საშუალება 53

BELL, ბიზნესის ეკონომიკა, ენის შესწავლა 55

ენ გილერანი - უფროსი პედაგოგიური მრჩეველი 56

კულტურული ცნობიერება და გამოხატვა 58

ენ გილერანი - უფროსი პედაგოგიური მრჩეველი 62

დასკვნა 64

ეროვნული და ევროპული ოფისების საკონტაქტო ინფორმაცია 66

შენიშვნები 76

შესავალი

რა არის კომპეტენციები?

კომპეტენციები შეიძლება განიმარტოს როგორც „ცოდნის, უნარების, გაგების, ღირებულებების, დამოკიდებულებების კომპლექსური კომბინაცია და სურვილი, რომელსაც მივყავართ კონკრეტულ სფეროში ადამიანის ეფექტურ ქცევამდე“[1]. იყო კომპეტენტური, ნიშნავს შეგეძლოს ცოდნის, უნარების და დამოკიდებულებების კომბინაციის ეფექტური გამოყენება რეალურ ცხოვრებაში სიტუაციებისა და პრობლემების წარმატებით გადასაწყვეტად. ტერმინი „კომპეტენცია“ პირველად ამ შინაარსით გამოყენებულ იქნა საფრანგეთში 1970-იან წლებში, იმის აღსანიშნავად თუ რა სჭირდებათ დასაქმებულებს კვალიფიკაციის გარდა სამუშაო გარემოში ეფექტური ქმედებისთვის[2]. 1980 –იან წლებში, სხვადასხვა ქვეყანაში დაიწყო კომპეტენციაზე დაფუძნებული მიდგომების განვითარება პროფესიული განათლებასთან მიმართებით. მას შემდეგ, კომპეტენციაზე დაფუძნებული განათლების ცნება ასევე შეეხო ზოგად განათლებას.

გამომდინარე ეროვნული კონტექსტიდან[3], საკვანძო კომპეტენციები შესაძლებელია გამოიხატოს და გაგებულ იქნას სხვადასხვაგვარად. კომპეტენციები შეიძლება იყო საგნობრივი და გამჭოლი. ეროვნული განმარტებებისა და ჩარჩოების გარდა, არსებობს სხვადასხვა საერთაშორისო კომპეტენციების ჩარჩოები, მათ შორის, ევროკავშირის რეკომენდაციები - საკვანძო კომპეტენციები მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლისთვის[4], UNESCO-ს ჩარჩო[5], OECD DESECO-ს ჩარჩო[6], პარტნიორობა 21-ის ჩარჩო[7], და ATC2[8]-ის ჩარჩო. eTwinning აღიარებს სხვადასხვა საერთაშორისო ჩარჩოებს და ასევე, ეროვნულ ჩარჩოებს, რომლებიც ითვალისწინებს ქვეყნის კონტექსტს და კულტურას, თუმცა წიგნში მოყვანილი პროექტებისთვის ეყრდნობა ევროკავშირის საკვანძო კომპეტენციების ჩარჩოს.

ევროპული ჩარჩოს 8 კომპეტენცია

ევროპული ჩარჩო[9] მოიცავს შემდეგ 8 საკვანძო კომპეტენციას, რომლებიც აუცილებელია პიროვნული სრულყოფისა და განვითარებისთვის, აქტიური მოქალაქეობისთვის, სოციალიზაციისთვის და დასაქმებისთვის.

1. კომუნიკაცია მშობლიურ ენაზე
2. კომუნიკაცია უცხოურ ენაზე
3. მათემატიკური კომპეტენცია და ძირითადი კომპეტენციები მეცნიერებასა და ტექნოლოგიებში
4. ციფრული კომპეტენცია
5. სწავლა სწავლისთვის
6. სოციალური და სამოქალაქო კომპეტენციები
7. ინიცირებისა და მეწარმეობის გრძნობა
8. კულტურული ცნობიერება და გამოხატვა

ყველა ეს საკვანძო კომპეტენცია ურთიერთდამოკიდებულია და თითოეული მათგანის შემთხვევაში ხაზი ესმება კრიტიკულ აზროვნებას, შემოქმედებითობას, ინიციატივის გამოჩენას, პრობლემის გადაჭრას, რისკების შეფასებას, გადაწყვეტილების მიღებას და გრძნობების კონსტრუქციული მართვას.

თითოეული კომპეტენციის ზუსტი განსაზღვრება მოცემულია წიგნის მომდევნო ნაწილებში და თითოეულ შემთხვევაში ორი ან სამი eTwinning-ის სანიმუშო პროექტია მოყვანილი ვიდეოების და სხვა საშუალებით, იმის საჩვენებლად თუ როგორ მუშაობენ მასწავლებლების და მოსწავლეები კონკრეტული კომპეტენციების გასავითარებლად eTwinning -ის სამუშაოს ფარგლებში.

რისთვის არის საჭირო კომპეტენციაზე დაფუძნებული განათლება?

სოციალური და ეკონომიკური მოტივებიდან, ასევე განათლების კვლევებიდან გამომდინარე, სკოლაში მოსწავლეების კომპეტენციების განვითარების საჭიროებამ მზარდი მნიშვნელობა შეიძინა და ბოლო პერიოდში, მსოფლიოს მასშტაბით საგანმანათლებლო სისტემებში წამყვანი მიმართულებად იქცა. ფორმალური განათლების დასრულებამდე მოსწავლის მიერ შეძენილი კომპეტენციების ხარისხისა და ადეკვატურობის გაუმჯობესების საჭიროება ფართოდ არის აღიარებული, განსაკუთრებით კი ევროპის ახალგაზრდების უმუშევრობის მაღალი მაჩვენებლიდან გამომდინარე. ცოდნა და ზოგადი უნარები მნიშვნელოვანია, თუმცა უკვე აღარ არის საკმარისი იმ კომპლექსური მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად რასაც დღევანდელი სოციალური მოთხოვნები აყენებს კონკურენტული გლობალური ეკონომიკის პირობებში. მზარდ ციფრულ მსოფლიოში სადაც ფუნქციონალურ უნარებზე დაფუძნებული პროფესიების კლებულობს, კომპეტენციებზე ორიენტირებული განათლება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. განათლების კვლევა, როგორიც არის ჯონ დიუის სოციალური პერსპექტივა სწავლისა და კონსტრუქტივისტული სწავლის თეორიაზე ასევე ხაზს უსვამს კომპეტენციების განვითარების მნიშვნელობას სოციალური სწავლის პროცესში, სადაც მოსწავლეები ჩართულები არიან აქტიურ სწავლაში რეალური ცხოვრების სიტუაციების გამოყენებით.

როგორ პასუხობენ განათლების სისტემები ამ საჭიროებას?

ბოლო ორი ათწლეულია, რაც ევროკავშირის ქვეყნების უმრავლესობას საკვანძო კომპეტენციები და სწავლის შედეგები წარმოდგენილი აქვთ თავიანთ სავალდებულო განათლების ეროვნულ სასწავლო გეგმებში ან

ოფიციალურ სახელმძღვანელო დოკუმენტებში. მაგალითად, ბოლო დროს, ეროვნულ დონეზე საკვანძო კომპეტენციების განვითარებასთან დაკავშირებით რეფორმები განხორციელდა ბელგიაში, საფრანგეთში, ფინეთში, შვედეთში, პორტუგალიასა და მალტაში[10.] ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა ფინეთი და შვედეთი, კომპეტენციაზე დაფუძნებული მიდგომა ხორციელდებოდა 1990-იანი წლების შუა პერიოდიდან, ხოლო ბოლოდროინდელი და მიმდინარე საგანმანათლებლო რეფორმა კიდევ უფრო ხაზს უსვამს საკვანძო კომპეტენციების მნიშვნელობას ახალ სასწავლო გეგმაში, რომლებიც უახლოეს მომავალში იქნება წარმოდგენილი. თუმცა, ურთიერთდაკავშირებული მიდგომების შესაბამისი რეფორმირება, როგორებიცაა მასწავლებელთა ტრენინგი, სტუდენტების შეფასება, სასწავლო რესურსები და სკოლის ორგანიზება, შედარებით იშვიათია. თუმცა, ნათელია, რომ კომპეტენციაზე დაფუძნებული განათლების ეფექტური დანერგვისთვის ერთიანი და ურთიერთდაკავშირებული მიდგომაა საჭირო.

სკოლაში საკვანძო კომპეტენციების დანერგვა მოიცავს არა მხოლოდ მათ სასწავლო გეგმაში ასახვას, არამედ სათანადო სტრუქტურისა და სწავლების მეთოდების განვითარებას. მათი ურთიერთ გადამკვეთი ხასიათის სასწავლო გეგმის გათვალისწინებით, ეს მოიცავს ინტერდისციპლინურ, ურთიერთ გადამკვეთი საგნების სწავლებას და სწავლების ერთიან დაგეგმვას.

როგორ შეუძლიათ მასწავლებლებს მოსწავლეების საკვანძო კომპეტენციების განვითარება?

საკვანძო კომპეტენციების სწავლებასთან დაკავშირებით მთავარი რეკომენდირებული მიდგომაა ინტერაქტიული სასწავლო გარემოს უზრუნველყოფა, რომელშიც მოსწავლეს შეუძლია პრაქტიკულ, კითხვა-პასუხზე დაფუძნებულ დავალებებში ჩართვა. ეს სასწავლო გარემო, რომელიც ხელს უწყობს ერთობლივ და მულტიდისციპლინურ სწავლებას, სულ უფრო მეტად ეფუძნება ტექნოლოგიურ განვითარებას. პროექტზე დაფუძნებული სწავლება განსაკუთრებით კარგი მეთოდია მოსწავლის საკვანძო კომპეტენცgების გასავითარებლად, რადგან ერთდროულად შესაძლებელია შვიდი საკვანძო კომპეტენციის განვითარება ურთიერთ გადამკვეთი კურიკულუმის საშუალებით. აქედან გამომდინარე, როგორც წიგნშია ნაჩვენები, eTwinning-ის პროექტებმა შეიძლება შეასრულონ წარმატებული არხის როლი მოსწავლეების კომპეტენციების გასავითარებლად. პროექტზე დაფუძნებული სწავლება ახალისებს მოსწავლეებს რომ იყვნენ აქტიურები და პასუხისმგებლები საკუთარი თავის სწავლებაზე, თუმცა, ამავდროულად, აქტივობები, საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფილი უნდა იქნას სათანადო პლატფორმით და მასწავლებლების მხრიდან ნათელი ინსტრუქციებით. კონკრეტულად, მოსწავლეს სჭირდება მხარდაჭერა რათა განავითაროს თავისი დამოუკიდებლად სწავლის უნარი; ეგრეთ წოდებული „სწავლა სწავლისთვის“ კომპეტენცია. სკოლამ უნდა გაითვალისწინოს მოსწავლის სოციალური და ემოციური მდგომარეობა და ხელი შეუწყოს რომ სწავლება იყოს მეტად ინდივიდუალურ მოსწავლეზე მიმართული.

იმედი გვაქვს, რომ მოცემული მაგალითები აჩვენებს eTwinning-ის პროექტების ეფექტურობას მოსწავლეების კომპეტენციების განვითარებაში და შთააგონებს მეტ მასწავლებელს პროექტებთან თანამშრომლობას მათი მოსწავლეების სწავლების გასაუმჯობესებლად.

---

[1] Hoskins, B & Deakin Crick R., (2010) Competences for Learning to Learn and Active Citizenship: diferent currencies or two sides of the same coin? European Journal of Education, Vol. 45, Number 1, March.

[2] Legendre Marie-Françoise (2008). « La notion de compétence au coeur des réformes curriculaires : Efet de mode ou moteur de changements en profondeur ?

[3] For a detailed description of how countries across the European Union deine and implement key competences in their education systems please refer to Eurydice's report Developing Key Competences at School in Europe and the KeyCoNet (the European Policy Network on the Key Competences in School Education) series of national reports and case studies.

[4] Available here: http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:32006H0962&from=EN

[5] Available here: http://www.unesco.org/education/pdf/15_62.pdf

[6] Available here: http://www.oecd.org/education/skills-beyond-schooldeinitionandselectionofcompetencies deseco.htm

[7] Available here: www.p21.org

[8] Available here: http://www.atc21s.org

[9] Recommendation of the European Parliament and of the Council of 18 December 2006 on Key Competences for Lifelong Learning (2006/962/EC), available here: http://eur-lex.europa.eu/legal-content/ EN/TXT/PDF/?uri=CELEX:32006H0962&from=EN

[10] For a full list of the national education reforms see KeyCoNet's EU Mapping Report and respective country overviews available at http://keyconet.aun.org/project-results.

კომუნიკაცია

განსაზღვრება

კომუნიკაცია მშობლიურ ენაზე არის შინაარსის, აზრების, გრძნობების, ფაქტების, შეხედულებების გამოხატვისა და ინტერპრეტირების უნარი როგორც ზეპირი ასევე წერითი ფორმით (მოსმენა, საუბარი, კითხვა და წერა), და ლინგვისტურად სათანადო და შემოქმედებითი გზით ინტერაქცია სოციალური და კულტურული კონტექსტის მთლიან სპექტრში, როგორებიცაა: განათლება და მომზადება, სამუშაო, სახლი და დასვენება.

ამ კომპეტენციასთან დაკავშირებული არსებითი ცოდნა, უნარები და დამოკიდებულებები:

კომუნიკაციის კომპეტენცია მშობლიური ენის დაუფლების შედეგია, რომელიც პირდაპირ არის დაკავშირებული ადამიანის მიერ სამყაროს შემეცნების და სხვებთან ურთიერთობის უნართან. მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია მოითხოვს ლექსიკის, ფუნქციონალური გრამატიკის და ენის ფუნქციების ცოდნას. ეს მოიცავს ვერბალური ინტერაქციის ძირითადი სახეების, რიგი ლიტერატურული და არალიტერატურული ტესტების, ენის სხვადასხვა სტილისა და რეგისტრის ძირითადი მახასიათებლების, სხვადასხვა კონტექსტში ენისა და კომუნიკაციის ცვალებადობის ცოდნას. ადამიანს უნდა ჰქონდეს სხვადასხვა სიტუაციაში ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი და უნდა შეეძლოს საკუთარი კომუნიკაციის მონიტორინგი და ადაპტირება სიტუაციის შესაბამისად. ეს კომპეტენცია ასევე მოიცავს სხვადასხვა სახის ტექსტის განსხვავების და გამოყენების უნარს, მისი მოძიების, შეგროვების და ინფორმაციის დამუშავების, დახმარების გამოყენების, ზეპირი და წერილობითი არგუმენტების დამაჯერებლად და კონტექსტის შესაბამისად ფორმულირების და გამოხატვის უნარს.

რჩეული პროექტები

მეგობრები სამუდამოდ

პროექტის მიზანია, ჰოვარდ გარდნერის მრავალმხრივი *ინტელექტის თეორიის მიხედვით*, საინტერესო და სახალისო გზით ძაღლების, როგორც ადამიანების მეგობრების შესახებ შესწავლა.

პროექტის ბმული: www.etwinning.net/profile/friends_fur_ever

ვიდეო პროექტის შესახებ _ ინტერვიუები მასწავლებლებთან და მოსწავლეებთან:
http://youtu.be/LlVnLinmwk8 | http://youtu.be/YFZMiEJqgtk

პროექტის ნაკრები: www.etwinning.net/kit/friends_fur_ever

TwinSpace: www.etwinning.net/twinspace/friends_fur_ever

„ვერ დავასახელებ ერთ აქტივობას რომელიც ყველაზე მეტად მომეწონა, რადგან ყველა მომეწონა“

ანდრეი უნგურეანუ რუმინეთიდან

„მოსწავლეები ვერც კი მიხვდნენ რომ, ისინი ყველა საგანს სწავლობდნენ“

მაურინი, მასწავლებელი დიდ ბრიტანეთიდან

Twinnies მსოფლიოს გარშემო

„პროექტის მიზანია, ყველა პარტნიორი სკოლის მოსწავლეების ნაწერებით მოთხრობის შექმნა. თითოეულმა სკოლამ უნდა დაწეროს მოთხრობის ნაკრების ნაწილი თავიან ქვეყნებში, რომელიც აჩვენებს მთავარი გმირების მონაწილეობით ქალაქების ცნობილ ადგილებს, ტრადიციული საჭმელების დაგემოვნებას, ტრადიციულ თამაშებს და ასე შემდეგ. მოთხრობა უნდა დაიწეროს ინგლისურ ენაზე.

პროექტის ბმული: www.etwinning.net/profile/twinnies_around_the_world

მასწავლებლების ინტერვიუ: http://youtu.be/b61fi7UkLWc

ბლოგი:http://twinnies2010.blogspot.be/

TS TwinSpace: www.etwinning.net/twinspace/twinnies_around_the_world

პროქტის ნაკრები: www.etwinning.net/kit/twinnies_around_the_world

Bookraft

„სკოლის ბიბლიოთეკარების თანამშრომლობა მასწავლებლებთან პოლონეთში, კვიპროსსა და საბერძნეთში, რათა წიგნის კითხვა გახდეს უფრო სახალისო სხვადასხვა შემოქმედებით აქტივობების საშუალებით“

პროექტის ბმული: www.etwinning.net/profile/bookraft

ვიდეო პროექტის შესახებ _ ინტერვიუები მასწავლებლებთან და მოსწავლეებთან:
http://youtu.be/2z_CdUjOfBQ

პროქტის ნაკრები: www.etwinning.net/kit/bookraft

TS TwinSpace: www.etwinning.net/twinspace/bookraft

„ძალიან კარგი დრო გავატარეთ სკოლის ბიბლიოთეკაში, ვისწავლეთ ახალი მოდემი და ხელსაქმე“ მოსწავლე პოლონეთიდან

„შესანიშნავი იყო ჩვენს პოლონელ მეგობრებთან პარტნიორობა და ურთიერთობა... ერთმანეთს კარგად ვუგებდით“ კორნელია მელკუ, მასწავლებელი რუმინეთიდან

ექსპერტის მოსაზრება

ენ გილერანი - უფროსი პედაგოგიური მრჩეველი

კომუნიკაცია: ურთიერთობის, დაკავშირების, ახსნის და სამყაროს აღწერის უნარი იწყება იმ დღიდან როცა ჩვენ ვიბადებით. გაზრდასთან და ენის სწავლასთან ერთად, ჩვენს მიერ სამყაროს გაგების უნარი იზრდება; რაც უკეთესია ჩვენი ლექსიკა, უკეთესად შეგვიძლია სიტყვიერად გამოვხატოთ ძალიან კომპლექსური და აბსტრაქტული აზრები და გრძნობები, უკეთესად შეგვიძლია ჩვენი სამყაროს ფორმირება და კონტროლი. ეს კომუნიკაცია, რა თქმა უნდა, იწყება მშობლიური ენის ცოდნიდან და გაგებიდან, და მჭიდროდ არის დაკავშირებული წიგნიერების კონცეფციასთან, მისი ფართო გაგებით.

ამიტომ არის ასე მნიშვნელოვანი ამ კომპეტენციის განვითარების დაწყება ძალიან ადრეული ასაკიდან და გაგრძელება ფორმალური განათლების პერიოდში და ასევე, მისი დასრულების შემდეგ. ვითგენშტაინმა, უდიდესმა ლინგვისტიკის ფილოსოფოსმა დაწერა „ჩემი ენის საზღვრები ჩემი სამყაროს საზღვრებია“. Logico-Tractatus Philosophicus. თუ მე მაკლია სიტყვები ჩემი აზრების და გრძნობების გამოსახატავად, მაშინ მე ვიზღუდები ისე როგორც მე შემიძლია ჩემი სამყაროს გამოხატვა. ეს კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ახლა, სწრაფი კომუნიკაციის, ზედაპირული ანალიზის და ინფორმაციის სამწუთიანი სინქრონის სამყაროში.

ამ კომპეტენციასთან დაკავშირებით ნაჩვენები სამი პროექტი შესანიშნავი მაგალითებია, თუ როგორ უნდა განვითარდეს გამოხატვის უნარი მშობლიური ენის შესწავლით სახალისო და სათანადო მეთოდებით. ორი პროექტი, მოიცავს განსხვავებულ საგნებს საბაზისო დონეზე, მაგრამ მათ აქვთ რამდენიმე საერთო შეხების წერტილი. მნიშვნელოვანი იყო, წერილობითი და ზეპირი სავარჯიშოები მშობლიურ ენაზე; ორივე პროექტში თემების არჩევა ხდებოდა კლასში განხილვის და ჩართულობის შედეგად, ასე რომ, საკითხები ახლოს იყო მოსწავლეების ინტერესებთან. გასაკუთრებით, პროექტში „მეგობრები სამუდამოდ“, მასწავლებლებმა აღმოაჩინეს, რომ შინაურ ცხოველებზე წერისას, ბავშვები გამოხატავდნენ მათ გრძნობებს ისეთ სიტუაციებში, როგორიცაა ოჯახის წევრის გარდაცვალება, რაც ნაკლებად სავარაუდოა რომ ამ დოზით გაეკეთებინათ იმ შემთხვევაში თუ ეს საკითხი პირდაპირ იქნებოდა დასმული. პროექტი eTwinnies მსოფლიოს გარშემო მუშაობდა მოსწავლეებთან და გააფართოვა მათი მიერ მშობლიური ენის დაუფლების უნარები მოთხრობების დაწერით.

ამ ნაწილი ბოლო პროქტი Bookraft, მოიცავდა არა მხოლოდ მოსწავლეების მიერ კლასიკური ტექსტების კითხვას, ასევე მათ პრაქტიკაში გადატანას თეატრალური შესრულების, სიმღერის და ხელოვნების საშუალებით. ამ პროექტმა მათთვის გააცოცხლა სიტყვები და ტექსტები, გაუღრმავა დაწერილი სიტყვების გააზრება და წარმოთქმული სიტყვების ძალა.

ამ კომპეტენციის სიაში პირველ ნომრად დასმა გამართლებულია, რადგან ის არის ყველა სხვა სწავლებისა და ცოდნის შეძენის საფუძველი. ასევე მნიშვნელოვანია ხარისხი, რომლითაც, ეს კომპეტენცია ეხმიანება ამ ნაწილში მოყვანილ პროექტებს, რომლებიც ხელს უწყობს სხვა ისეთი უნარების განვითარებას,

როგორებიცაა მოსწავლის შემოქმედებითობა, კრიტიკული ანალიზი და ჯგუფური მუშაობა.
eTwinning-ის პროექტი უზრუნველყოფს საშუალებებს მოსწავლეების კომპეტენციების და ასევე დამხმარე უნარების გასავითარებლად სათანადო გზებით.

კომუნიკაცია უცხოურ ენებზე

განსაზღვრება

კომუნიკაცია უცხოურ ენაზე ფართოდ იზიარებს მშობლიურ ენაზე კომუნიკაციის მთავარი უნარების განზომილებას. ის ეფუძნება შინაარსის, აზრების, გრძნობების, ფაქტების შეხედულებების ზეპირი და წერილობითი ფორმით (მოსმენა, საუბარი, კითხვა და წერა) გაგებას, გამოხატვას და ინტერპრეტირებას რიგი სოციალური და კულტურული კონტექსტის შესაბამისად (განათლებასა და მომზადებაში, სამსახურში, სახლში და დასვენებისას) ადამიანის სურვილებისა და საჭიროებების შესაბამისად. კომუნიკაცია უცხოურ ენაზე ასევე მოიცავს მედიტაციის და ინტერკულტურული გაგების უნარს. უცხოური ენის ფლობის დონე განსხვავდება ოთხ განზომილებასა (მოსმენა, საუბარი, კითხვა და წერა) და სხვადასხვა ენებს შორის, ადამიანის სოციალური და კულტურული პროფილის, გარემოს, საჭიროებებისა და/ან ინტერესების მიხედვით.

ამ კომპეტენციასთან დაკავშირებული არსებითი ცოდნა, უნარები და დამოკიდებულებები:

უცხოური ენის კომპეტენცია მოითხოვს ლექსიკის, ფუნქციონალური გრამატიკის და ვერბალური ინტერაქციის ძირითადი სახეების და ენობრივი რეგისტრების ცოდას. ასევე მნიშვნელოვანია სოციალური კონვენციების, კულტურული ასპექტებისა და ენის ცვალებადობის ცოდნა. უცხოურ ენაზე კომუნიკაციის უმთავრესი უნარებია საჭიროებისამებრ ზეპირი შეტყობინების გაგება, საუბრის წამოწყება, გაგრძელება და დასრულება, ასევე ტექსტის წაკითხვა, გაგება და შექმნა. ადამიანს ასევე უნდა შეეძლოს სათანადო დახმარების გამოყენება, ენის არაფორმალურ გარემოში, როგორც მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის ნაწილის, შესწავლა. დადებითი დამოკიდებულება მოიცავს კულტურული მრავალფეროვნების პატივისცემას, ენის და ინტერკულტურული კომუნიკაციის მიმართ ინტერესს და ცნობისმოყვარეობას.

ევროგიდი

„ევროგიდი არის *მრავალმხრივი Comenius-ის პროექტი,* რომელიც მიზნად ისახავს ყველა მონაწილისთვის კომუნიკაციის და სოციალური უნარების კონსოლიდირებას და განვითარებას. ორწლიანი პარტნიორობის ფარგლებში, ჩვენ გვსურს მივცეთ ჩვენს მოსწავლეებს შესაძლებლობა ჩაერთონ საერთაშორისო პროექტში, სადაც მათ შეეძლებათ აღმოაჩინონ მრავალფეროვნება და განსხვავებულობა ევროპის რეგიონებსა თუ ქალაქებს შორის თანამშრომლობის და იდეების გაცვლის საშუალებით. ჩვენი მთავარი მიზანია, თითოეული კულტურის და საზოგადოების უკეთესად გაცნობა ურთიერთპატივისცემისა და სტიმულირების გზით და ამისთვის ახალგაზრდებს ვთავაზობთ სხვადასხვა აქტივობებს.“

პროექტის ბმული: www.etwinning.net/profile/euroguide

პროქტის ნაკრები: www.etwinning.net/kit/euroguide

TwinSpace: www.etwinning.net/twinspace/euroguide

„წამდვილად გავიუმჯობესე ჩემი ინგლისური ენის უნარები“ სერენა იტალიიდან

Moi, toi, lettres à nous

პროექტის მიზანია ციფრული ეპისტოლარული მოთხრობის შექმნა, სადაც მოსწავლეები წერენ წერილებს და პასუხობენ ევროპელი კლასელების წერილებს. ნაწერები ეფუძნება მოსწავლეების საერთო ინტერესების გათვალისწინებით შერჩეულ თემებს. ნაწერების შინაარსი ილუსტრირებულია ვიდეოების და ფოტოების საშუალებით.

პროექტის ბმული: www.etwinning.net/profile/moi_toi_lettres_a_nous

პროექტის ნაკრები: www.etwinning.net/kit/moi_toi_lettres_a_nous

TwinSpace: www.etwinning.net/twinspace/moi_toi_lettres_a_nous

„eTwinning, არის საშუალება რომ შეხვდე ახალ ხალხს და გაიუმჯობესო ინგლისური (...) გავალდებულებს ილაპარაკო ინგლისურად. ახალი კულტური და ახალი ადამიანების გაცნობა მშვენიერია“ ხავიერი ესპანეთიდან

ექსპერტის მოსაზრება

ენ გილერანი - უფროსი პედაგოგიური მრჩეველი

როგორც ამ ნაწილის შესავალშია ნახსენები, მშობლიურ ენაზე კომუნიკაციის კომპეტენციის ბევრი ასპექტი ასევე შეესატყვისება უცხოური ენის შეძენის კომპეტენციას. ამას გარდა, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია მთლიანად კულტურული განზომილება, რომელიც მოიცავს საკუთარი თავის სხვა ადამიანის კულტურულ გარემოში წარმოდგენას, მათი წეს-ჩვეულებების, ქცევების და იუმორის გაგებას, რომ აღარაფერი ვთქვათ მათ ხელოვნებაზე, ლიტერატურაზე და თეატრზე. რატომ არის ეს მნიშვნელოვანი? იმიტომ რომ, სხვა ხალხის ენის და კულტურის გაგება გვეხმარება დავინახოთ ისინი ისე როგორებიც არიან, რომ ჩამოვაშოროთ სტერეოტიპული შეხედულებები, რაც ხშირად გარკვეულ შემთხვევებში გადაჭარბებულია; რომ გავხდეთ უფრო ჰუმანურები, ტოლერანტები და ხელგაშლილები.

ევროგიდი წარმოადგენს შესანიშნავს საშუალებას, იმისთვის რომ მოსწავლეებმა ერთად იმუშაონ სახელმძღვანელო წიგნის შექმნაზე, რომელიც დაწერილი იქნება თინეიჯერების მიერ თინეიჯერებისთვის და გააცნობს მათ თავიანით ქვეყნების იმ კულტურულ და სოციალურ ასპექტებს, რაც დამაინტერესებელია ამ ასაკობრივი ჯგუფისთვის. ამ პროექტში ჩართულ მოსწავლეებს საშუალება აქვთ ესტუმრონ ერთმანეთის სკოლებს და პირადად შეხვდნენ ერთმანეთს, რაც აძლიერებს მათი მუშაობის სოციალურ განზომილებას.

მეორე პროექტი Moi, toi, leters a nous დაიწყო უფრო ვიწრო ბაზიდან, მოსწავლეები დაწყვილებულები იყვნენ მათი პროექტის პარტნიორთან სხვა ქვეყნიდან და მათ დაიწყეს წერილების ერთმანეთისთვის მიწერა არჩეულ უცხოურ ენაზე, რომელიც სხვათა შორის იყო ფრანგული. ამ მიმოწერის განვითარებასთან ერთად, წერილების შინაარსი უფრო პირადული გახდა, გამოხატავდნენ იმედებს და სურვილებს ახალგაზრდების პრობლემებზე.

ჩემი აზრით, ამ ორივე პროექტმა, უცხოური ენის კომპეტენციის განვითარების თვალსაზრისით, ხაზი გაუსვა სწავლის პროცესის ბუნებრიობას. ენა გახდა რეალური რამ, რეალური საშუალება რეალური კომუნიკაციისთვის, და არა უბრალოდ წიგნებში მოცემული ცარიელი სავარჯიშოები. მოსწავლეების დამოკიდებულებამ უცხოური ენის სწავლის მიმართ განიცადა ცვლილება, რადგან ისინი წარმატებით ურთიერთობდნენ სხვა ახალგაზრდებთან მათთვის საინტერესო ცხოვრებისეულ თემებზე.



მათემატიკური კომპეტენცია და ძირითადი კომპეტენციები მეცნიერებებსა და ტექნოლოგიებში

განსაზღვრება

ა) მათემატიკური კომპეტენცია არის შესაძლებლობა რომ განავითარო და გამოიყენო მათემატიკური აზროვნება ყოველდღიურ სიტუაციებში სხვდასხვა პრობლემების გადასაჭრელად. მათემატიკური წიგნიერების გასაძლიერებლად მნიშვნელოვანია პროცესზე და აქტივობებზე, ასევე ცოდნაზე კონცენტრირება. მათემატიკური კომპეტენცია მოიცავს, სხვადასხვა ზომით მათემატიკური აზროვნების (ლოგიკური და სივრცული აზროვნება) და წარმოსახვის (ფორმულები, მოდელები, კონსტრუქციები, გრაფიკები, დიაგრამები) გამოყენებას.

ბ) მეცნიერებების კომპეტენცია ეხება იმ ცოდნასა და მეთოდოლოგიას რომელიც გამოიყენება ბუნების, სამყაროს ასახსნელად, რათა განისაზღვროს კითხვები და მიხვიდე მტკიცებულებაზე დაფუძნებულ დასკვნამდე.

ტექნოლოგიების კომპეტენცია არის ცოდნის და მეთოდოლოგიის გამოყენება ადამიანის სურვილებისა და საჭიროებების აღქმის საპასუხოდ. კომპეტენცია მეცნიერებებსა და ტექნოლოგიებში მოიცავს ადამიანის ქმედების შედეგად გამოწვეული ცვლილებების და თითოეული მოქალაქის პასუხისმგებლობის გაგებას.

ა) საჭირო მათემატიკური ცოდნა მოიცავს ციფრების, ზომების, ძირითადი ოპერაციების და ძირითადი მათემატიკური წარმოდგენის ცოდნას, მათემატიკური ტერმინებისა და ცნებების გაგებას, იმ საკითხების ცოდნას, რომელზეც პასუხი შეგვიძლია გავცეთ მათემატიკის საშუალებით. ადამიანს უნდა ჰქონდეს უნარი ტომ გამოიყენოს ძირითადი მათემატიკური პრინციპები და პროცედურები ყოველდღიურ კონტექსტში, სახლში და სამსახურში, მიჰყვეს და შეაფასოს არგუმენტების ჯაჭვი. ადამიანს უნდა ჰქონდეს მათემატიკური დასაბუთების, მათემატიკური მტკიცებულების გაგების და მათემატიკურ ენაზე კომუნიკაციის და სათანადო დახმარების გამოყენების უნარი.

ბ. მეცნიერებისა და ტექნოლოგიებისთვის, არსებითი ცოდნა მოიცავს სამყაროს ძირითად პრინციპებს, ფუნდამენტურ სამეცნიერო ცნებებს, პრინციპებსა და მეთოდებს, ტექნოლოგიას და ტექნოლოგიურ პროდუქტებს და პროცესებს, ასევე მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სამყაროზე გავლენის გაგებას. ამ კომპეტენციებმა საშუალება უნდა მისცეს ადამიანს უკეთესად გაიგოს მეცნიერული თეორიების განვითარება, საზღვრები და რისკები, მისი გამოყენება და ტექნოლოგიები ფართო საზოგადოებაში (გადაწყვეტილების მიღებასთან, ღირებულებებთან, მორალურ საკითხებთან, კულტურასთან და ა.შ. კავშირში). უნარები მოიცავს ტექნოლოგიური ხელსაწყოებისა და მანქანების, ასევე მეცნიერული მონაცემების გამოყენებას მიზნის მისაღწევად და მტკიცებულებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილების და დასკვნის გამოსატანად. ადამიანს ასევე უნდა შეეძლოს სამეცნიერო კვლევის მთავარი მახასიათებლების გააზრება და ჰქონდეს დასკვნებისა და იმ მიზეზების გამოხატვის უნარი, რომლებმაც მიიყვანა ამ დასკვნებამდე.

SOHO: Sunspots Online ჰელიოსის ობსერვატორია

ასტრონომიის პროექტი მზის ნაწილებზე დაკვირვებასთან დაკავშირებით ევროპის სხვადასხვა ადგილებიდან ცუდი ამინდისგან თავის ასარიდებლად და რაც შეიძლება ხშირად სურათების გადასაღებად. მოსწავლეები მიიღებენ ცოდნას მზის, როგორც ვარსკვლავის და როგორც მზის სისტემის ცენტრის შესახებ.

პროექტის ბმული: www.etwinning.net/profile/soho

ვიდეო პროექტის შესახებ: http://youtu.be/zdsW_pk_uCQ

TwinSpace: www.etwinning.net/twinspace/soho

"ამ პროექტს აქვს კარგი სტრუქტურა და ნათლად აჩვენებს პარტნიორების მიერ ერთობლივი დაგეგმვის პროცესს. ბევრი სხვა პოზიტიური საკითხის დამატება შეიძლება: მოსწავლეებისთვის თვით რეფლექსიის შესაძლებლობა, კურიკულუმში ინტეგრირება, პროექტის ხელშეწყობა პროექტის ბლოგის საშუალებით" ჟიური

ატომი:მათემატიკისგემო

პროექტის სამიზნე ჯგუფს 12-16 წლის მოსწავლეები წარმოადგნენ. სამუშაო ენაა ინგლისური. პროექტის ხანგრძლივობაა ექვს თვე. პროექტის მიზანია სტუდენტების მოტივაციისა და ინტერესის გაზრდა მათემატიკის მიმართ, მათი საგამომძიებლო სულისა და ცნობისმოყვარეობის სტიმულირება კურიკულუმის ძირითადი მათემატიკური შინაარსისა და ყოველდღიური ცხოვრების კომბინირებით ევროპის სხვადასხვა ნაწილში, კონკრეტული საგნებისა და მათემატიკური ცნებების წარმოდგენის გამოყენებით. ის ასევე მიზნად ისახავს, ურთიერთ გაგების ხელშეწყობას იმ ისტორიული და კულტურული კონტექსტის შესახებ ცოდნის მიღებას სადაც ცხოვრობენ პარტნიორები.

პროექტის ბმული: www.etwinning.net/profile/atom

ვიდეო პროექტის შესახებ: http://youtu.be/a0irY9WP5ME

პროექტის ნაკრები: www.etwinning.net/kit/atom

ბლოგი: http://atasteofmaths.blogspot.be/

““მისი (პროექტის) პრიორიტეტი იყო მათთვის მათემატიკის ჩვენება არა როგორც უბრალოდ მოსაწყენი სკოლის სახელმძღვანელო, არამედ როგორც შემოქმედებითობის სამყარო“ მათემატიკის მასწავლებელი

„ჩვენ ასევე ვისწავლეთ მათემატიკის გაცნობიერება ხეებზე, ეკლესიაში“ სტუდენტი იტალიიდან

„ვისურვებდი მეც მქონოდა მსგავსი სახალისო მათემატიკის გაკვეთილები როცა სკოლაში დავდიოდი! ძალია შემოქმედებითი გზაა მათემატიკური ასპექტების რეალურ ცხოვრებასთან კავშირის დასანახად“ ჟიური

ექსპერტის მოსაზრება

ენ გილერანი - უფროსი პედაგოგიური მრჩეველი

ეს ორი კომპეტენცია, ფორმალურ საგანმანათლებლო გარემოში ხშირად ყველაზე მეტ წინააღმდეგობას იწვევს მოსწავლეებში, განსაკუთრებით გოგონებში, თუმცა სწორედ ეს კომპეტენციები ქმნიან საინჟინრო, სამედიცინო, ტექნოლოგიური, კომერციული და წარმოების განვითარების საფუძველს. უფრო პრაქტიკული თვალსაზრისით, რიცხვების გამოთვლის უუნარობა სერიოზულად ზღუდავს ყიდვის, მარტივი ბიუჯეტის დაგეგმვის, ფინანსების მარტივი მენეჯმენტის შესაძლებლობას. ძირითადი სამეცნიერო ცნებების გაგების უუნარობა ასევე სუსტ პოზიციაში აყენებს ადამიანს, როცა საკითხი ეხება იმას თუ როგორ მუშაობს ელექტროენერგია სახლში, რატომ არის წყალი ასეთი ძვირფასი რესურსი და ა.შ. ამ ორი კომპეტენციის განვითარება ეხმარება მოსწავლეს ბუნებრივი გარემოს უფრო ღრმად გააზრებაში და თუ როგორ შეუძლია გამოთვლებს გავლენა მოახდინო მათ ყოველდღიურ ცხოვრებაზე.

კიდევ ერთხელ, ხაზი მინდა გავუსვა რომ ამ სექციაში წარმოდგენილი სანიმუშო პროექტები ეფუძნება სწავლას რეალურ და კონკრეტულ სიტუაციებში. მაგალითისთვის, ავიღოთ პროექტი ATOM, *მათემატიკის გემო,* რომელიც მათემატიკას განიხილავს სხვადასხვა მხრიდან, როგორიცაა ფიბონაჩის რიცხვები და ლექსების შექმნა მიმდევრობაზე დაყრდნობით. ისინი ასევე ხედავენ როგორ შეიძლება მათემატიკის დანახვა და გაგება ჩვენს გარშემო არსებული საგნების, შენობების, ხეების, ეკლესიების, ფანჯრების ნიმუშებში.

აგრეთვე, SOHO, Sunspots Online- ჰელიოს ობსერვატორიის პროექტში, მოსწავლეები ჩართულები იყვნენ რეალურ აქტივობებში, მზის წერტილების გაზომვა, ადგილობრივ გარემოზე მისი გამოჩენის ეფექტისთვის თვალყურის დევნება და სხვ. ამას გარდა, ამ პროექტმა წარმოადგინა პრაქტიკული სამეცნიერო სამყარო საკლასო ოთახში, ექსპერტების მიერ ჩატარებული საველე პრაქტიკის პირდაპირი ვიდეო კონფერენციებით, რაც იშვიათი შესაძლებლობაა მოსწავლეებისთვის პირდაპირ ჩაერთონ რეალურ მეცნიერებაში არაფორმალური გზით.

რაც ყველაზე მეტად მომწონს ამ ორ პროექტში, არის ის რომ ისინის ხსნიან იმ ორ სფეროს რაც ხშირად უვითარდებათ მოსწავლეებს - მენტალური და დამოკიდებულებითი დაბლოკვა. პროექტი იმგვარად უდგება თემებს რომ ის აძლევს სტუდენტებს საშუალებას გაიგონ საგნის არსი და გაიღრმავონ ცოდნა, გაიუმჯობესონ დაკვირვების და ანალიტიკური უნარები და კომპეტენციები.

ციფრული კომპეტენცია

3

განსაზღვრება

ციფრული კომპეტენცია მოიცავს სამუშაოდ, გასართობად და საკომუნიკაციოდ ინფორმაციული საზოგადოების ტექნოლოგიის (IST) დამაჯერებელ და კრიტიკულ გამოყენებას. ის გამყარებულია საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ძირითადი უნარებით: კომპიუტერის გამოყენება ინფორმაციის მისაღებად, შესაფასებლად, შესანახად, შესაქმნელად, წარმოსადგენად და გასაცვლელად, და ინტერნეტის საშუალებით კომუნიკაციისა და ერთობლივ ქსელში მონაწილეობისთვის.

ამ კომპეტენციასთან დაკავშირებული არსებითი ცოდნა, უნარები და დამოკიდებულებები

ციფრული კომპეტენცია მოითხოვს დღევანდელ კონტექსტში საინფორმაციო ტექნოლოგიების ბუნების, როლის და შესაძლებლობების კარგ ცოდნას და გაგებას, როგორც პირად და სოციალურ ცხოვრებაში, ასევე სამსახურში. ის მოიცავს კომპიუტერის ძირითად აპლიკაციებს, როგორიცაა სიტყვების აკრეფა, ცხრილები, მონაცემთა ბაზები, ინფორმაციის შენახვა და მენეჯმენტი, ინტერნეტის შესაძლებლობების დ პოტენციური რისკების გაგებას, ელექტრონული მედიით (ელ. ფოსტა, ქსელები) კომუნიკაცია, სამსახურისთვის დასვენებისთვის, ინფორმაციის გაზიარებისთვის და ერთობლივი ქსელებისთვის, სწავლა და კვლევა. ადამიანმა ასევე უნდა გაიგოს როგორ შეიძლება საინფორმაციო ტექნოლოგიებმა ხელი შეუწყოს შემოქმედებითობას და ინოვაციას, იცნობდეს ხელმისაწვდომი ინფორმაციის ვალიდურობისა და სანდოობის საკითხებს, სამართლებრივ და ეთიკურ პრინციპებს საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებისას.

საჭირო უნარები მოიცავს ინფორმაციის ძიების, შეგროვების და გადამუშავების, მისი მნიშვნელოვანი და სისტემური გზით გამოყენებას, შეაფასოს შესაბამისობა და განსხვავებულობა რეალურსა და ვირტუალურს შორის, და ამავდროულად გააცნობიეროს მათი კავშირი. ადამიანს უნდა ჰქონდეს უნარი გამოიყენოს საშუალებები კომპლექსური ინფორმაციის შექმნისა, წარმოდგენისა და გაგებისთვის და უნარი შეაღწიო, მოიძიოს და გამოიყენოს ინტერნეტზე დაფუძნებული მომსახურებები. ადამიანს უნდა შეეძლოს საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება კრიტიკული აზროვნების, შემოქმედებითობის და ინოვაციის მხარდასაჭერად.

საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება მოითხოვს კრიტიკულ და რეფლექსიურ დამოკიდებულებას ხელმისაწვდომი ინფორმაციის მიმართ და ინტერაქტიული მედიის გამოყენების მიმართ პასუხისმგებლობით მიდგომას. ინტერესი თემების და ქსელების ჩართულობასთან დაკავშირებით, კულტურული, სოციალური და პროფესიული მიზნებით ასევე ხელს უწყობს ამ კომპეტენციას.

მოლაპარაკე სურათები

ჩვენი მოსწავლეები ეცნობიან ჩვენს კულტურებს შორის მსგავსებებსა და განსხვავებებს სურათების გამოყენებით და მონაწილე ქვეყნებს შორის დიალოგის შექმნის გზით.

პროექტის ბმული: www.etwinning.net/profile/talking_pictures

პროექტის ნაკრები: www.etwinning.net/kit/talking_pictures

„შერჩეული თემები და ასევე თანამშრომლობითი და შემოქმედებითი აქტივობები (მაგ. ერთობლივი მოთხრობა სხვადასხვა ქვეყნებიდან საგზაო ნიშნების გამოყენებით, საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება) ძალიან კარგად იყო ორგანიზებული და დაგეგმილი ასაკობრივი ჯგუფების გათვალისწინებით.“ ჟიური

ამბები ისტორიაში

ჩვენი პროექტი ძირითადად ეფუძნება ისტორიას. ჩვენ ფოკუსირებას ვახდენთ ახალგაზრდების გამოცდილებაზე მეორე მსოფლიო ომის პერიოდში. ჩვენი მოსწავლეების იყენებენ ინგლისურ ენას კომუნიკაციისთვის და საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს დოკუმენტების გაცვლისთვის და გაზიარებისთვის, დასაწერად და ერთმანეთთან სასაუბროდ (ჩატი, ფოსტა...), ამას გარდა ისინი ფიქრობენ ერთმანეთთან მუშაობის შემოქმედებით გზებზე.

პროექტის ბმული: www.etwinning.net/profile/stories_in_history

პროექტის ნაკრები: www.etwinning.net/kit/stories_in_history

TwinSpace: www.etwinning.net/twinspace/stories_in_history

“ამბები ისტორიაში“ არის ძალიან კარგი მაგალითი იმისა, თუ როგორი მნიშვნელოვანია საერთაშორისო პროექტების მუშაობა ერთი შეხედვით მშრალი საგნების გასაცოცხლებლად!“
ჟიური

„მე განვივითარე
კომპიუტერული უნარები“
სერენა იტალიიდან

ექსპერტის მოსაზრება

ენ გილერანი - უფროსი პედაგოგიური მრჩეველი

ნათელია, რომ ჩვენ ვცხოვრობთ ციფრულ, ყოველთვის ჩართულ სამყაროში. ჩვენ ვღელავთ თუ არ შეგვიძლია ინტერნეტით დაკავშირება ახალი ამბების შესამოწმებლად, ახლომდებარე რესტორნის მოსაძებნად და facebook-ის გვერდის შესამოწმებლად. მიუხედავად იმისა, რომ ყველა ამ ციფრულ რესურსებს სულ ვიყენებთ, რამდენად აქტიურად ვახდენთ რეფლექსიას იმაზე თუ როგორ ვიყენებთ მას, ამდენად სარწმუნოა ინფორმაცია რომელსაც გვაწვდიან, როგორი პასუხისმგებლობით უნდა მივუდგეთ კომენტარების დაწერისას და სურათების გამოქვეყნებისას ჩვენი მეგობრის სოციალურ საქმიანობასთან დაკავშირებით? მომავლის ხედვა არის ინტერნეტი, სადაც ყველა სისტემა რომელიც ახლა აკონტროლებს ჩვენს სამყაროს გახდება ურთიერთდაკავშირებული ისე რომ ინფორმაცია ერთისგან გააკონტროლებს სხვის რეაქციას. ჟურგო-სორენ პრედენის, ტალინის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის პროაქტიული ტექნოლოგიების კვლევითი ლაბორატორიის უფროსის ბოლოდროინდელ პრეზენტაციაზე, ესტონეთში, მან მოიყვანა ჩემს სამზარეულოში ყავის მანქანის მაგალითი, რომელიც იღებს ჩემს სენსორულ სიგნალებს, ამოწმებს ჩემს სამედიცინო მონაცემებს, ამუშავებს ინფორმაციას და ამზადებს ყავას რომელიც შეიცავს ჩემი ჯანმრთელობის შესაბამის კოფეინის ოდენობას.

ასეთ სამყაროში, ახალგაზრდას ნამდვილად სჭირდება ამ კომპეტენციის განვითარება, არა მხოლოდ იმისთვის რომ ციფრული ინფორმაციის ინტერპრეტირება მოახდინოს, არამედ შეძლოს ციფრული მასალის გამოყენება და მანიპულირება, იყოს კრიტიკული მისი გამოყენებისას, გააანალიზოს მისი სანდოობა, და იმის ნაცვლად რომ მოექცეს კონტროლის ქვეშ, თავად აკონტროლოს ის.

ეს პროცესი უნდა დაიწყოს ბავშვის ცხოვრებასა და გამოცდილებაში რაც შეიძლება ადრე და პროექტმა *მოლაპარაკე სურათებმა* სწორედ ეს გააკეთა. საბაზო საფეხურის დაბალი კლასის მოსწავლეებთან მუშაობისას, ისინი იყენებდნენ ფოტოებს, როგორც კომუნიკაციის და ამბების ინტერპრეტაციის ენას ამბების მოსაყოლად; ასევე მოდელირებას, მოძრავ ანიმაციებს და ვიდეოებს. მოსწავლეებმა ისწავლეს რომ ყოველთვის ყველაფერი ისე არ არის როგორც ჩანს, შესაძლებელია ფოტოების მანიპულირება ისე რომ წარმოადგინო აზრები სხვადასხვა კუთხიდან. მათ ისწავლეს ნიშნების და სიმბოლოების ინტერპრეტირება და შექმნეს თავიანთ ენაზე პოპულარული სიტყვებისა და ფრაზების ვიდეო ლექსიკონი.

მეორე პროექტი, ამბები ისტორიაში, იკვლევდა მეორე მსოფლიო ომის დროს ცხოვრებას, სხვადასხვა მოწმეების აზრების გათვალისწინებით. ამან ნამდვილად მისცა მოსწავლეებს გაეცნობიერებინათ მომთხრობი ადამიანის

შეხედულებიდან და სურვილიდან გამომდინარე ინფორმაციის ცვალებადობა, რომ ინფორმაცია შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვადასხვაგვარად სხვადასხვა მიზნებისთვის.

სწავლა სწავლისთვის

„სწავლა სწავლისთვის“ არის უნარი რომ დაიწყო და ჯიუტად განაგრძო სწავლის პროცესი, ორგანიზება გაუკეთო საკუთარ სწავლების პროცესს, დროისა და ინფორმაციის ეფექტური მენეჯმენტის საშუალებით, როგორც ინდივიდუალურად ასევე ჯგუფებში. ეს კომპეტენცია მოიცავს ცნობადობას საკუთრი სწავლების პროცესისა და საჭიროებების მიმართ, ხელმისაწვდომი შესაძლებლობების იდენტიფიცირებას, და უნარს რომ გადალახო დაბრკოლებები წარმატებული სწავლისთვის. ეს კომპეტენცია გულისხმობს ახალი ცოდნისა და უნარების შეძენას, გადამუშავებას და გათავისებას, ასევე სწავლის მიმართულების და ხელმძღვანელობის მოძებნას და მის გამოყენებას. სწავლა სწავლისთვის მოსწავლეს რთავს წინარე ცოდნისა და ცხოვრებისეული გამოცდილების შენებაში, რათა მან შეძლოს ცოდნისა და უნარების გამოყენება სხვადასხვა კონტექსტში: სახლში, სამსახურში, განათლებასა და მომზადებისას. ადამიანის კომპეტენციისთვის უმნიშვნელოვანესია მოტივაცია და თავდაჯერებულობა.

ამ კომპეტენციასთან დაკავშირებული არსებითი ცოდნა, უნარები და დამოკიდებულებები

როცა მოსწავლე მიმართულია კონკრეტული სამსახურებრივი თუ კარიერული მიზნისკენ, მან უნდა იცოდეს თუ რა კომპეტენციები, ცოდნა, უნარები და კვალიფიკაციაა ამისთვის მოთხოვნილი. ყველა შემთხვევაში, სწავლა სწავლისთვის მოითხოვს რომ ადამიანმა იცოდეს და აცნობიერებდეს მისთვის სასურველ სწავლის სტრატეგიებს, თავისი უნარების და კვალიფიკაციის ძლიერ და სუსტ მხარეებს, შეეძლოს მოიძიოს განათლებისა და მომზადების შესაძლებლობები და ხელმისაწვდომი ხელმძღვანელობა და მხარდაჭერა. სწავლა სწავლისთვის უნარების პირველ რიგში მოითხოვს ისეთი ძირითადი უნარების შეძენას როგორებიცაა წიგნიერება, მათემატიკური წიგნიერება, საინფორმაციო ტექნოლოგიები, რაც საჭიროა შემდგომი სწავლისთვის. ამ უნარებზე დაფუძნებით, ადამიანმა უნდა შეძლოს ახალ ცოდნასთან და უნარებთან წვდომა, შეძენა, დამუშავება და ასიმილირება. ეს მოითხოვს საკუთარი სწავლის, კარიერისა და სამსახურის ეფექტურ მენეჯმენტს, და განსაკუთრებით სწავლის გაგრძელების უნარს, კონცენტრირებას გარკვეულ პერიოდში და სწავლის მიზნის მიმართ კრიტიკულ რეფლექსიას. ადამიანს უნდა შეეძლოს რომ დრო მიუძღვნას დამოუკიდებლად სწავლას თვით დისციპლინით, მაგრამ ამავდროულად, როგორც სწავლის ნაწილი, ითანამშრომლოს და მიიღოს სარგებელი ჰეტეროგენული ჯგუფებისგან, და გაიზიაროს ის რაც მათ ისწავლეს. ადამიანს უნდა შეეძლოს საკუთარი სწავლების პროცესის, საკუთარი სამუშაოს ორგანიზება და სათანადო რჩევების, ინფორმაციის და მხარდაჭერის მიღება.

დადებითი დამოკიდებულება მოიცავს მოტივაციას და თავდაჯერებულობას სწავლის დაწყებისა და გაგრძელების მიმართ მთელი ცხოვრების მანძილზე. პრობლემის გადაჭრის მიდგომა ეხმარება როგორც სწავლის პროცესს, ასევე ადამიანის უნარს რომ გადალახოს დაბრკოლებები და მოახდინოს ცვლილება. წინარე ცოდნისა და ცხოვრებისეული გამოცდილების გამოყენების სურვილი,

სწავლის შესაძლებლობებისა მიმართ ცნობისმოყვარეობა და სწავლის გამოყენება სხვადასხვა ცხოვრებისეულ კონტექსტში არსებითია პოზიტიური დამოკიდებულებისთვის.

რეპორტაჟი საზღვრების გარეშე

„მოსწავლეები თანამშრომლობენ ელექტრონული ჟურნალის დასაწერად: ისინი ირჩევენ მათთვის სასურველ გამოსაკვლევ თემებს, იღებენ ინტერვიუებს მათი ევროპელი პარტნიორებისგან ამ საკითხებზე მათი მოსაზრების გასაგებად, შემდეგ ორგანიზებას უკეთებენ შეგროვილ ინფორმაციას და წერენ სტატიებს.“

პროექტის ბმული: www.etwinning.net/profile/reporting_without_borders

ნაკრები:www.etwinning.net/twinspace/reporting_without_borders

ვიდეო პროექტის შესახებ: http://bit.ly/1sNSm9U

TwinSpace: www.etwinning.net/twinspace/reporting_without_borders

„ყველაზე მეტად მომეწონა ჯგუფში მუშაობა (...)“ რებეკა მალტიდან

„ეს უფრო დინამიურია და შვენ გვინდა რომ ვიმუშაოთ მეტი“ დელფინე ბელგიიდან

„საბოლოო პროდუქტი - ელექტრონული ჟურნალი არის მაღალი ხარისხის. მოსწავლეებს ჰქონდათ ნათელი მთავარი დავალება რომ დაეწერათ ჟურნალის სტატიები, და ხველა ქვე-დავალება დაკავშირებული იყო ერთმანეთთან და ასევე მთავარ მიზანთან, ელექტრონული ჟურნალის დაწერასთან. შეიქმნა მოსწავლეების ინტერნაციონალური ჯგუფები, შედეგად კი მივიღეთ სხვადასხვა ქვეყნის მოსწავლეებს შორის ნამდვილი თანამშრომლობა. ელექტრონული ჟურნალი კარგად არის გაკეთებული და ღიად არის ხელმისაწვდომი, რაც სხვა სკოლებს შეუძლიათ გამოიყენონ მასალად.“ ჟიური

LYPS

„პროექტის მთავარი მიზანია მოსწავლეების პოტენციალის და ნიჭის აღმოჩენა. ბავშვების დახმარება რომ აღმოაჩინონ თუ რაში არიან კარგები ხელს უწყობს ჯანსაღ თვითრწმენას, რაც უმნიშვნელოვანესია მომავალი წარმატებისთვის. ბავშვებმა უნდა სცადონ ბევრი რამე სანამ აღმოაჩენენ იმ რიგ უნარებს რომლებსაც მოიცავს მათი შესაძლებლობები; გამომდინარე აქედან, ჩვენ ვქმნით შესაძლებლობებს ბავშვებისთვის რომ შეისწავლონ სხვადასხვა საგნები, აქტივობები და ადამიანები. მოკლე შესავალი ეტაპის შემდეგ ვაცხადებთ შეჯიბრებას. ჩვენი მოსწავლეები ქმნიან ინტერნაციონალურ ჯგუფებს ყველა პარტნიორის ჩართულობით და მუშაობენ ერთობლივად ერთმანეთის და საკუთარით თავის სწავლისადმი ინტერესით. გუნდები თამაშობენ თამაშებს, ასრულებენ დავალებებს, უზიარებენ ერთმანეთს თავიანთ აღმოჩენებს და ეხმარებიან ერთმანეთს, აღნიშნავენ ერთმანეთის წარმატებას და სწავლობენ ერთად მუშაობას მათი ეთნიკური წარმომავლობის მიუხედავად. Web 2.0 ჩვენი კომუნიკაციის და თანამშრომლობის ცენტრს წარმოადგენს.

პროექტის ბმული: www.etwinning.net/profile/lyps

პროექტის ნაკრები: www.etwinning.net/kit/lyps

ვიდეო პროექტის შესახებ: http://youtu.be/o673QpF38rE

“Facebook ერთ ერთი აქტივობაა რომელზეც ვიმუშავეთ. ის ისე გამოიყურება როგორც facebook, მაგრამ აღწერს ცნობილი ადამიანების ცხოვრებას“ პოლონელი მოსწავლე

„პროექტმა გამოავლინა ყველა მოსწავლის ნიჭი და სურვილები“ მასწავლებელი საბერძნეთიდან

ექსპერტის მოსაზრება

ენ გილერანი - უფროსი პედაგოგიური მრჩეველი

ჩემი აზრი, დღევანდელი ფორმალური საგანმანათლებო სისტემის პირობებში, ეს ერთ ერთი ყველაზე რთულად გასავითარებელი კომპეტენციაა ისე რომ დიდხანს გაჰყვეს ადამიანს, განსაკუთრებით მაღალი საშუალო სკოლის დონეზე, სადაც სტუდენტების დროში დომინირებს გამოცდები და სადაც გამოცდებს მოსწავლეებისა და მასწავლებლებისთვის მოაქვს კურიკულუმის შეზღუდვები თუ ზეწოლა. მოსწავლეები ხშირად გამოთიშულები არიან სწავლისგან, ბევრ მათგანს მიტოვებული აქვს ფორმალური განათლება საბაზისო წიგნიერების უნარის შეძენის გარეშე, რაც ამ კომპეტენციის ქვაკუთხედია. როგორ უნდა ჩავრთოთ მოსწავლეები, როგორ უნდა შევძინოთ მათ საკუთარი თავისთვის სწავლების და აღმოჩენების გაკეთების მიმართ სიყვარული და არა უბრალოდ სწავლა გამოცდების ჩასაბარებლად.

eTwinning-ის ბევრი პროექტი ითვალისწინებს ჰოვარდ გარდნერის მიერ შექმნილ მრავალმხრივი ინტელექტის კონცეფციის გამოწვევებს. მასწავლებლები მუშაობდნენ იმ პრინციპით რომ მოსწავლეები საუკეთესოდ მუშაობენ და ყველაზე ეფექტურად სწავლობენ მაშინ როცა ისინი მუშაობენ მათთვის საინტერესო თემაზე და რომელიც წარმოდგენილია მათთვის გასაგები სახით მათი სწავლის სტილის შესაბამისად. ასე რომ, მჭიდროდ დაწერილი ტექსტის ნაცვლად, ინფორმაცია შეიცავს, სურათებს, ფერებს, ხმას, საგნებს და ა.შ.

მე ვფიქრობ, პროექტს LYPS-ს აქვს იდეალური პასუხი კომპეტენციების გასავითარებლად. მასში ჩართულები იყვნენ საკმაოდ პატარა ასაკის - 9-11 წლის მოსწავლეები. როგორც სათაური გვთავაზობს, პროექტმა მისცა მათ საშუალება აღმოეჩინათ ის საკითხები, რაც მათთვის იყო საინტერესო და განევითარებინათ თავიანთი უნარები და ამავდროულად ყოფილიყვნენ პროექტში საფუძვლიანად ჩართულები. მრავალი თემები და დავალებები იქნა წარმოდგენილი სახალისო, შემოქმედებითი და ინოვაციური გზით.

თუ შეხედავთ ამ პროექტის სამუშაო სივრცეს, იპოვით რიგ თემებს ხელოვნებიდან და მუსიკის ისტორიიდან, მეცნიერებიდან და მათემატიკიდან. მოსწავლეებს უნდა შეესწავლათ თითოეული საკითხი, გადაეწყვიტათ თუ რა სფერო მოსწონდათ ყველაზე მეტად და შემდეგ ემუშავათ ინტერნაციონალურ ჯგუფში რათა დაესვათ გამოწვევები მთელი ჯგუფისთვის. ამ პროცესში, მოსწავლეებმა ისწავლეს თავიანთი იდეების

განვითარება და საკუთარ ძლიერ მხარეებზე მუშაობა.

მეორე პროექტმა, რეპორტაჟი საზღვრების გარეშე, ასევე მისცა მოსწავლეებს საშუალება აერჩიათ მათთვის საინტერესო თემა, რამაც გამოიწვია ცოცხალი და ჩართულობითი ონლაინ ჟურნალის შექმნა, რომელიც ნათლად აჩვენებს მონაწილე მოსწავლეების ჩართულობას. ეს პროექტი აჩვენებს „მსუბუქი უნარების“ შეძენას ახალგაზრდების მიერ, სტატიის არჩევას, შემოქმედებით გამოხატვას და ნიმუშის შექმნას და რა თქმა უნდა, გუნდში მუშაობის უნარს.

სოციალური და სამოქალაქო კომპეტენციები

ეს გულისხმობს პერსონალურ, ინტერპერსონალურ და ინტერკულტურულ კომპეტენციას და მოიცავს ქცევის ყველა იმ ფორმას, რაც ადამიანს აძლევს სოციალურ და სამსახურებრივ ცხოვრებაში ეფექტური და კონსტრუქციული მონაწილეობის უნარს, განსაკუთრებით კი მზარდად მრავალფეროვან საზოგადოებაში, რათა გადაჭრას კონფლიქტები საჭიროების შემთხვევაში. სამოქალაქო კომპეტენცია აძლევს ადამიანს სამოქალაქო ცხოვრებაში სრული მონაწილეობის უნარს, სოციალური და პოლიტიკური კონცეფციების და სტრუქტურის ცოდნის საფუძველზე, და ვალდებულების გრძნობას აქტიური და დემოკრატიული მონაწილეობის მიმართ.

ამ კომპეტენციასთან დაკავშირებული არსებითი ცოდნა, უნარები და დამოკიდებულებები

ა. სოციალური კომპეტენცია დაკავშირებულია პირად და სოციალურ კეთილდღეობასთან, რომელიც მოითხოვს იმის გაგებას, თუ როგორ შეუძლია ადამიანს უზრუნველყოს ოპტიმალური ფიზიკური და მენტალური ჯანმრთელობა, მათ შორის საკუთარი, ოჯახის, უახლოესი სოციალური გარემოს რესურსი და იმის ცოდნა თუ რა წვლილის შეტანა შეუძლია ამაში ჯანსაღ ცხოვრების წესს. წარმატებული ინტერპერსონალური და სოციალური მონაწილეობისთვის აუცილებელია ქცევის წესების და სხვადასხვა საზოგადოებასა და გარემოში მიღებული ნორმების (მაგ. სამსახურში) ცოდნა. თანაბარმნიშვნელოვანია იმ ძირითადი კონცეფციების ცოდნა, რომლებიც უკავშირდება ინდივიდუალურ ადამიანებს, ჯგუფებს, სამსახურის ორგანიზაციას, გენდერულ თანასწორობას და ანტიდისკრიმინაციას, საზოგადოებას და კულტურას. უმნიშვნელოვანესია ევროპული საზოგადოების მულტიკულტურული და სოციალურ-ეკონომიკური განზომილების გაგება და იმის გააზრება თუ როგორი ინტერაქციაა ეროვნულ კულტურულ იდენტობასა და ევროპულ იდენტობას შორის.

ამ კომპეტენციის მთავარი უნარები მოიცავს კონსტრუქციულ კომუნიკაციას სხვადასხვა გარემოში, ტოლერანტობის გამოჩენას, სხვადასხვა აზრების გამოხატვას და გაგებას, მოლაპარაკებისას დამაჯერებელი განწყობის შექმნა, ემპათიის გრძობა. ადამიანს უნდა შეეძლოს სტრესთან და იმედგაცრუებასთან გამკლავება და მათი

კონსტრუქციული გზით გამოხატვა, ასევე უნდა განასხვავოს პირადი სფერო პროფესიულისგან. ეს კომპეტენცია დაფუძნებულია თანამშრომლობაზე, თავდაჯერებულობასა და პატიოსნებაზე. ადამიანებს უნდა აინტერესებდეთ სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და ინტერკულტურული კომუნიკაცია, უნდა დააფასონ მრავალფეროვნება და პატივი სცენ სხვებს, მზად იყვნენ არასწორის განსჯისა გადასალახავად და კომპრომისისთვის.

ბ. სამოქალაქო კომპეტენცია დაფუძნებულია დემოკრატიის, სამართლიანობის, თანასწორობის, მოქალაქეობის და სამოქალაქო უფლებების კონცეფციების, ისე როგორც ისინი მოყვანილია ევორკავშირის ფუნდამენტური უფლებების წესდებაში და საერთაშორისო დეკლარაციებში, ასევე თუ როგორ გამოიყენება

განსაზღვრება

ისინი სხვადასხვა ინსტიტუციებში, ადგილობრივ, რეგიონულ და ეროვნულ დონეზე.

ევროპული და საერთაშორისო დონე მოიცავს თანამედროვე მოვლენების ცოდნას, ასევე ეროვნული, ევროპული და მსოფლიო ისტორიის მთავარი მოვლენების და ტენდენციების ცოდნას. ამას გარდა, სოციალური და პოლიტიკური მოძრაობების მიზნების, ღირებულებების და პოლიტიკის ცნობადობა უნდა იქნას განვითარებული. არსებითია ევროპული ინტეგრაციისა და ევროკავშირის სტრუქტურების, მისი მთავარი მიზნების და ღირებულებების ცოდა, ასევე ევროპაში მრავალფეროვნებისა და კულტურული იდენტობების ცნობადობა. სამოქალაქო კომპეტენციის უნარები დაკავშირებულია საჯარო სფეროში სხვებთან ერთად ჩართვის, სოლიდარობის გამოხატვის და ადგილობრივი და ფართო საზოგადოების პრობლემების გადაჭრის მიმართ ინტერესის გამოჩენის უნართან. ეს მოიცავს კრიტიკულ და შემოქმედებით რეფლექსიას და საზოგადოებისა თუ სამეზობლოს აქტივობებში კონსტრუქციულ მონაწილეობას, ასევე გადაწყვეტილების მიღებას ყველა დონეზე, ადგილობრივიდან ეროვნულ და ევროპულ დონეებამდე, განსაკუთრებით კი ხმის მიცემის გზით.

ადამიანის უფლებების სრული პატივისცემა გულისხმობს თანასწორობას, როგორც დემოკრატიის საფუძველს, სხვადასხვა რელიგიებისა და ეთნიკური ჯგუფების ღირებულებათა სისტემებს შორის განსხვავების გააზრება და დაფასება პოზიტიური

დამოკიდებულების საფუძველია. ეს გულისხმობს საკუთარი თავის მიკუთვნების გრძნობას ადგილობრივად, ქვეყნის, ევროკავშირის და ევროპის და მთლიანად მსოფლიოსთვის, და ყველა დონეზე დემოკრატიული გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის სურვილს. ეს ასევე გულისხმობს პასუხისმგებლობის გრძნობის გამოჩენას, იმ საერთო ღირებულებების გაგებას და პატივისცემას, რომლებიც აუცილებელია საზოგადოების ერთობისთვის და დემოკრატიული პრინციპების პატივსაცემად. კონსტრუქციული მონაწილეობა ასევე გულისხმობს სამოქალაქო აქტივიზმს, სოციალური მრავალფეროვნებისა და ერთობის, მდგრადი განვითარების მხარდაჭერას და სხვისი ღირებულებებისა და პირადი ცხოვრებისადმი პატივისცემის მზაობას.

რჩეული პროექტები

დაახლოება

„ამ პროექტში ბავშვები, მათი ყოველდღიური ცხოვრება, ქვეყნები და კულტურები უახლოვდებიან ერთმანეთს ელ.ფოსტის, ჩატის, აუდიო და ვიდეო ჩანაწერების PowerPoint პრეზენტაციის და ფოტოალბომების საშუალებით. ამასთან, ბავშვები გაყოფილები არიან 5 შერეული ეროვნების ჯგუფებად, რომლებიც ერთმანეთს ეჯიბრებიან სხვადასხვა თამაშებში მთელი სასკოლო წლის განმავლობაში. თითოეული გუნდი არის ტრანსპორტირების საშუალება რომელიც მოგზაურობს -მაგ. ესპანური ნახევარი გუნდი იწყებს პალმადან და ფინური ნახევარი გუნდი იწყებს ალანდან მოგზაურობას ერთმანეთისკენ. რაც მეტ ქულებს იღებენ მით შორს მოგზაურობენ სანამ არ შეხვდებიან ერთმანეთს სადმე ევროპაში. ის გუნდი რომელიც პირველი შეხვდება გამარჯვებულია.

პროექტის ბმული: www.etwinning.net/profile/getting_closer

პროექტის ნაკრები: www.etwinning.net/kit/getting_closer

ვიდეო პროექტის შესახებ მასწავლებლებთან და მოსწავლეებთან ინტერვიუებით: http://youtu.be/o0CmeNBRmuA

TwinSpace: www.etwinning.net/twinspace/getting_closer

“ყველაზე დიდი მიღწევა იყო რომ პარტნიორებთან კონტაქტი მათთვის ბუნებრივი გახდა“ ფინელი მასწავლებელი

“„ჩემი პარტნიორი დაინტერესდა eTwinning-ით და ნახა რომ ის სთავაზობს ძალიან ბევრ შესაძლებლობას“ დელფინე ბელგიიდან

„ჩვენ ვსწავლობთ ძალიან ბევრს განსხვავებულობის გაგებით“ *http://youtu.be/BppZe5OTBow*
პროფესორი ბობ ფრაიერი

ცისარტყელა სოფელი

„ცისარტყელა ერი მშვიდობაში საკუთარ თავთან და მსოფლიოსთან“ ნელსონ მანდელა

რას იტყვით ცისარტყელა სოფელში შემოერთებაზე, სადაც მოსწავლეები საფრანგეთიდან, საბერძნეთიდან, იტალიიდან, პოლონეთიდან, რუმინეთიდან, თურქეთიდან, სლოვაკეთიდან და დიდი ბრიტანეთიდან ისწავლიან ერთად ცხოვრებას და გაუზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებებს. გამოყენებული იქნება ინგლისური და ფრანგული ენები. eTwinning-ის პლათფორმის საშუალებით, მოსწავლეები ჯერ გაიცნობენ ერთმანეთს, განიხილავენ ყოველდღიურ ცხოვრებისეულ თემებს და შეადარებენ თავიანთ ქცევის ნორმებს მათი ევროპელი პარტნიორებისას. ეს მონაცემები შემდეგ გამოყენებული იქნება ვირტუალური სოფლის შესაქმნელად, რომელიც არის კულტურების ნარევი, სადაც მოსწავლეები 1) იღებენ ახალ იდენტობებს (ფიზიკური აღწერილობა, ხასიათი, რა მოსწონთ და რა არ მოსწონთ...), 2) წერენ მათთვის იდეალური სოფლის ფიზიკურ აღწერილობას, 3) წყვეტენ ემბლემის, ეროვნული ჰიმნის და საერთო კანონის საფუძველზე. მოვლენები ხდება ამ სოფელში და მონაწილეები რეაგირებენ მათზე და მაშასადამე ურთიერთობენ. მათი შექმნის ამბები გროვდება პროექტისთვის სპეციალურად შექმნილ ბლოგზე. მოსწავლეებს შეუძლიათ ელ.ფოსტის ან ვიდეო კონფერენციების საშუალებით კომუნიკაცია. ამავდროულად, სპეციალურად მომზადებული სასწავლო მასალა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისთვის (განსაკუთრებული ფოკუსით კოგნიტური და მეტაკოგნიტური სტრატეგიების სწავლებაზე) ნენსის უნივერსიტეტის სასწავლო პლათფორმაზე ან etwinning-ის ვირტუალურ სივრცეში. საბოლოოდ მასწავლებლები და მოსწავლეები უზიარებენ ერთმანეთს შთაბეჭდილებებს პროექტის შესახებ.

პროექტის ბმული: www.etwinning.net/profile/rainbow_village

პროექტის ნაკრები: www.etwinning.net/kit/rainbow_village

ვიდეო პროექტის შესახებ მასწავლებლებთან და მოსწავლეებთან ინტერვიუებით: http://youtu.be/h5u8AYQlFiQ

TwinSpace: www.etwinning.net/twinspace/rainbow_village

“მე ვისწავლე როგორ უნდა წარმოვადგინო ჩემი თავი მერის არჩევნებზე, ვისწავლე ჩემს კლასელებთან ერთად ჯგუფში მუშაობა“ ფრანგი მოსწავლე

„პროექტმა მათ აჩვენა რომ პატარა რაღაცით შეგიძლია დიდი რამის მიღწევა, მისცა მათ პოზიტიური ხედვა საკუთარ თავებზე და მათ სკოლაზე“ ფრანგი მასწავლებელი

ჯანმრთელობა ცხოვრებისთვის

„ადამიანის ჯანმრთელობა არის ადამიანის გონების, სხეული და სულის ზოგადი მდგომარეობა, ხშირად იგულისხმება რომ არ ხარ ავად, არ ხარ დაშავებული ან არ გტკივა. ჯანმრთელობის შენარჩუნება და გაუმჯობესება არამხოლოდ ჯანმრთელობის მეცნიერების განვითარებით და გამოყენებით ხდება, არამედ ადამიანის და საზოგადოების ძალისხმევით და გონივრული ცხოვრების სტილის არჩევით. დღევანდელი თინეიჯერების ცხოვრების სტილი შეცვლილია იმასთან შედარებით რაც იყო 50 წლის წინ, როცა თინეიჯერები მეტად იყვნენ დაინტერესებულების სწავლით, სპორტით, ჰობით და ყოველდღიური აქტივობებით. მაგრამ დღეს ის სრულიად ახალ ფაზაშია, სადაც თინეიჯერების ცხოვრება მიმართულია გართობის, დალევის, მოწევის, ნარკოტიკების და სექსუალური სიამოვნებისკენ.“

პროექტის ბმული: www.etwinning.net/profile/health4life

პროექტის ნაკრები: www.etwinning.net/kit/health4life

ვიდეო პროექტის შესახებ მასწავლებლებთან და მოსწავლეებთან ინტერვიუებით: http://youtu.be/GS-ZasD9zEw

TwinSpace: www.etwinning.net/twinspace/health4life

“ახლა მე ვიღებ ინფორმაციას და სასწავლო მასალებს მთელი ევროპიდან სხვადასხვა მასწავლებლებისგან“ პაულინი, ბიოლოგიის მასწავლებელი, ნიდერლანდები

„როცა რამე არ გამოდიოდა ჩვენ ერთად ვიცინოდით და ეს მნიშვნელობას არ ვანიჭებდით“ მოსწავლე ნიდერლანდებიდან

„ერთხელ ავად ვიყავი და სახლში ვიყავი, მაგრამ მაინც მივიღე მონაწილეობა ვიდეო კონფერენციაში“ მოსწავლე ნიდერლანდებიდან

„მე მომწონს მეცნიერება რადგან ჩვენ ბევრი რამ ვისწავლეთ ბუნების შესახებ და კარგი დრო გავატარეთ“ მარია რუმინეთიდან

“„მე ასევე ძალიან მომეწონა ექსპერიმენტები რომლებიც ჩვენ ჩავატარეთ, რადგან ჩვენ უნდა გადაგვეთარგმნა ისინი ინგლისურად ტექნოლოგიური ტერმინების გამოყენებით, რომელიც უფრო სამეცნიერო იყო და არა უბრალო ყოველდღიური ენა“ მოსწავლე იტალიიდან

“„ეს არის ძალიან კარგად დანერგილი eTwinning-ის აქტივობები გამოცდების მოსამზადებლად და მაშასადამე მათი ინტეგრირებისთვის კურიკულუმში, ისე რომ შეუმჩნევლად იყოს სახალისო“. ჟიური

ექსპერტის მოსაზრება

ენ გილერანი - უფროსი პედაგოგიური მრჩეველი

ეს არის ძალიან კომპლექსური საკვანძო კომპეტენცია, რომელიც მოიცავს რიგ სხვადასხვა ასპექტებს ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის გაგების განვითარებიდან და ჯანსაღი ცხოვრების ხელშემწყობი ფაქტორებიდან იმ ქცევის ნორმების გააზრებამდე, რომელიც საშუალებას გვაძლევს ვიცხოვროთ ჩვენს საზოგადოებაში პროდუქტიულად და კონსტრუქციულად, დავრწმუნდეთ რომ გადაწყვეტილებები რომლებსაც ვიღებთ ინდივიდუალურად თუ ჯგუფურად სარგებლის მომტანია ყველასათვის.

ეს ყველაფერი მჭიდრო კავშირშია უფლებებისა და პასუხისმგებლობების იდეასთან. დღევანდელ მსოფლიოში წინ არის წამოწეული ადამიანის უფლებები, ხმის მიცემის უფლება, კარგი მომსახურების უფლება, ნორმალური ცხოვრების სტანდარტის უფლება და ა.შ. თუმცა, ყველა უფლებას თან ახლავს პასუხისმგებლობა რომ უფლება გამოიყენო სათანადოდ, ისე რომ არ შეურაცხყო და საკუთარი კეთილდღეობისთვის არ გამიყენო სხვა. ეს კი დაკავშირებულია იმასთან თუ რა ადგილი გვიკავია საზოგადოებაში, თავს ვგრძნობთ დაფასებულად და მიღებულად თუ შეურაცხყოფილად და დამცირებულად. ეს ხაზს უსვამს ადამიანის რეაქციის ჯაჭვის მიზეზ შედეგობრივ მხარესთან ურთიერთკავშირს; ჩვენ დამოკიდებულები ვართ ერთმანეთზე, ჩვენ ვაშენებთ საზოგადოებას ერთად, ჩვენ ყველანი ვართ პასუხისმგებლები ჩვენს მოქმედებებზე, დიდი და პატარა, ყველა ვინც ამ საზოგადოებას ეკუთვნის.

პროექტი *ჯანმრთელობა ცხოვრებისთვის* ორიენტირებული ჯანმრთელობის და კეთილდღეობის გააზრების განვითარებასთან და იმ ფაქტორებთან რომლებიც ხელს უწყობს ჯანსაღ ცხოვრებას. ამ პროექტში მოსწავლეებს უნდა გაეთვალისწინებინათ ახალგაზრდების ყოველდღიური ქცევა ისეთ საკითხებთან მიმართებით, როგორებიცაა მოწევა, ნარკოტიკის მიღება, სექსუალური ცხოვრება, ალკოჰოლის დალევა. ამისთვის მათ ჩაატარეს გამოკითხვა მათ თანატოლებთან და ასევე ლაბორატორიული ექსპერიმენტი ორგანიზმზე სხვადასხვა ნივთიერებების გავლენასთან დაკავშირებით. ეს სამუშაო არის ძალიან კარგად დოკუმენტირებული პროექტის TwinSpace -ში და კარგად იგებ თუ

რამდენი რამ ისწავლეს საკუთარი სხეულის მიმართ ფრთხილ მოპყრობასთან დაკავშირებით. მე ვფიქრობ, ეს ასევე კარგი მაგალითი თუ როგორ შეიძლება პროექტმა მოიცვას ერთდროულად რამდენიმე კომპეტენცია. მაგალითად, ეს პროექტი ასევე აჩვენებს მოსწავლეებს თუ როგორ შეიძლება მათემატიკისა და მეცნიერების კომპეტენციის გამოყენება რეალურ სიტუაციაში და არა უბრალოდ თეორიულად. ეს პროექტი ნამდვილად ახალისებს ინიციატივის გამოჩენისა და მეწარმეობის კომპეტენციას, იმ თვალსაზრისით რომ ის იწვევს მოსწავლეებს თავად იფიქრონ საკუთარი თავისთვის და თავადვე განსაჯონ საკუთარი თავი.

ჩემთვის, ამ ნაწილი მეორე პროექტი *ცისარტყელა სოფელი* წარმოადგენს შესანიშნავ მაგალითს თუ როგორ უნდა მივუდგეთ ბუნებით კომპლექსური სოციალური და სამოქალაქო კომპეტენციის გაგების განვითარებას ახალგაზრდებში.

ამ პროექტში ჩართულები იყვნენ 12-15 წლის მოსწავლეები დაბალი საშუალო სკოლის დონიდან, რომლებსაც უნდა წარმოედგინა რომ ცხოვრობდნენ არმაგედონის შემდგომ სამყაროში, სადაც ყველაფერი დანგრეული იყო. მათ უნდა ხელახლა აეშენებინათ თავიანთი ცხოვრება და საზოგადოება ახლად შექმნილ ცისარტყელა სოფელში. პროექტის TwinSpace ხაზს უსვამს მოსწავლეების მიერ გაკეთებულ მრავალფეროვან დავალებებს, როგორებიცაა მათი სოფლისთვის საუკეთესო შესახებ გადაწყვეტილების მიღება, საზოგადოებრივი წესების ჩამოყალიბება და ნამდვილი არჩევნების ჩატარება. ისინი წახალისებულ იქნენ რომ ეფიქრათ უფრო ღრმად სოციალურ და სამართლიანობის საკითხებზე, მოქალაქეების უფლებებსა და პასუხისმგებლობებზე და წესებზე. მათ ჩადეს მთელი თავისი შემოქმედებითობა, ანალიზი და განსჯის უნარი, ასევე ისწავლეს თუ როგორ წარმოედგინათ საკუთრი თავის საჯარო სიტუაციებში.

ინიციატივის და მეწარმეობის გრძნობა

ინიციატივისა და მეწარმეობის გრძნობა გულისხმობს ადამიანის შესაძლებლობას რომ მოიყვანოს იდეა ქმედებაში. ის გულისხმობს შემოქმედებითობას, ინოვაციას, რისკის აღებას, ასევე მიზნის მისაღწევად პროექტების დაგეგმვასა და მენეჯმენტს. ეს ეხმარება ადამიანს არამხოლოდ სახლისა და საზოგადოებრივ ყოველდღიურ ცხოვრებაში, არამედ სამსახურში მათი სამუშაოს კონტექსტის გაცნობიერებაში და შესაძლებლობების გამოყენებაში, და წარმოადგენს უფრო კონკრეტული უნარებისა და ცოდნის საფუძველს, რომლებიც საჭიროა სოციალური თუ კომერციული საქმიანობის დასაწყებად და მასში წვლილის შესატანად. ის უნდა მოიცავდეს ეთიკური ღირებულებების ცნობადობას და საჯარო მმართველობის ხელშეწყობას.

ამ კომპეტენციასთან დაკავშირებული ცოდნა, უნარები და დამოკიდებულებები:

საჭირო ცოდნა გულისხმობს პერსონალური, პროფესიული და ბიზნეს საქმიანობისთვის ხელმისაწვდომი შესაძლებლობების იდენტიფიცირების უნარს, მათ შორის „დიდი სურათის“ დანახვის უნარს, რომელიც გვაწვდის მთლიან კონტექსტს იმ მდგომარეობის შესახებ, რომელში ადამიანები ცხოვრობენ და მუშაობენ, მაგალითად, იმის გაგება თუ როგორ მუშაობს ეკონომიკა, რა გამოწვევებს და შესაძლებლობებს ხვდებიან დამსაქმებლები და ორგანიზაციები. ადამიანი ასვე უნდა იცნობდეს საწარმოების მდგომარეობას ეთიკის თვალსაზრისით, და თუ როგორ შეიძლება მათი იძულება უკეთესი შედეგის მისაღებად, მაგალითად სამართლიანი ვაჭრობით ან სოციალური საწარმოებით.

უნარები მოიცავს პროაქტიულ პროექტის მენეჯმენტს (მაგალითად დაგეგმვის, ორგანიზების, მენეჯმენტის, ხელმძღვანელობის და დელეგირების, ანალიზის, კომუნიკაციის, ინფორმაციის გამოკითხვის, შეფასების და ჩაწერის უნარი), ეფექტურ წარმომადგენლობასა და მოლაპარაკებას, ინდივიდუალურად და ჯგუფში მუშაობას. უმნიშვნელოვანესია უნარი რომ შეაფასო და განსაზღვრო ადამიანის ძლიერი და სუსტი მხარეები, შეაფასო და აიღო მიზანშეწონილი რისკები.

მეწარმეობითი დამოკიდებულება ხასიათდება ინიციატივის გამოჩენის უნარით, პროაქტიულობით, დამოუკიდებლობით და ინოვაციებით

პირად და სოციალურ ცხოვრებაში, და ასევე სამსახურში. ის ასევე გულისხმობს მოტივაციას და მიზნების მიღწევის უნარს, იქნება ის პირადი, საერთო თუ სამსახურებრივი.

ფოტოგრაფია როგორც პედაგოგიური საშუალება

ეს ორწლიანი Comenius/eTwinning -ის პროექტი გულისხმობს სწავლას ქმედებაზე ორიენტირებული მიდგომით. მოსწავლეებს სთხოვენ წაიღონ მათი ფოტოაპარატები, გავიდნენ და დააკვირდნენ მათ გარშემო არსებულ სამყაროს, რათა დაინახონ კავშირი კლასში ნასწავლი მასალა გარშემო არსებულ რეალობასთან. კამერა და ფოტოები სასწავლო პროცესის დამხმარე საშუალებებია. სტუდენტები ასახავენ კონცეპციებსა და იდეებს ფოტოებზე და ქმნიან სლაიდშოუებს, რომლებსაც უზიარებენ სხვა პარტნიორებს eTwinning-ის პლათფორმის საშუალებით. ამასთან პედაგოგიური რჩევები პრაქტიკული მაგალითებით და შედეგებით გამოქვეყნებულია ჟურნალში, სახელმძღვანელო წიგნსა და ვებ გვერდზე. ასევე, მოსწავლეების მობილობისას ტარდება სპორტული ტურნირები (კალათბურთი, კროფტბოლი, ბურთის სრულა, ხელბურთი, ფეხბურთი) პარტნიორებს შორის, სადაც გუნდებად გაყოფილი მოსწავლეები სხვადასხვა ქვეყნებიდან მონაწილეობას იღებენ ტურნირში. სპორტული წესები შეიძლება განსხვავებული იყო პარტნიორების გადაწყვეტილებების შესაბამისად. ამ აქტივობით წახალისებულია თამაში, რომელშიც არ არიან გამარჯვებულები და დამარცხებულები.

პროექტის ბმული:
www.etwinning.net/profile/photography_pedagogical_tool

პროექტის ნაკრები: www.etwinning.net/kit/photography_pedagogical_tool

ვიდეო პროექტის შესახებ მასწავლებლებთან და მოსწავლეებთან ინტერვიუებით:
http://youtu.be/WMnhQMeh_cM

TwinSpace: www.etwinning.net/twinspace/photography_pedagogical_tool

„eTwinning დამეხმარა რომ უკეთესად წარმემართა ჩემი ცხოვრება, რადგან მან მომცა სხვადასხვა ქვეყნებიდან ხალხთან კომუნიკაციის შესაძლებლობა“ სტუდენტი ლიტვიდან

„ეს არის მასწავლებლებს შორის გუნდური მუშაობის მშვენიერი მაგალითი, რომელმაც პროექტი უზრუნველყო სათანადო პედაგოგიური მიდგომებით, ასევე ჩართო მასში მოსწავლეები. პროექტმა მოსწავლეების მისცა საშუალება ესწავლათ უფრო მოტივირებულად და შემოქმედებითად, ყოფილიყვნენ მეტად ჩართულები, ამავდროულად შეექმნათ ბევრი სასარგებლო რესურსი“ ჟიური

BELL, ბიზნესის ეკონომიკა, ენის შესწავლა

„პროექტი ორიენტირებულია ბიზნესისა და ეკონომიკის ლექსიკასთან დაკავშირებული ენის სწავლასა და სწავლებაზე. მასში ჩართულები არიან სკოლები ავსტრიიდან, ჩეხეთიდან, ლუქსემბურგიდან, ესპანეთიდან გერმანიიდან და ისლანდიიდან. ის წარმოადგენს Comenius-ის პროექტის პლათფორმას.

პროექტის ბმული: www.etwinning.net/profile/bell

TwinSpace: www.etwinning.net/twinspace/bell

ექსპერტის მოსაზრება

ენ გილერანი - უფროსი პედაგოგიური მრჩეველი

ჩემთვის ეს კომპეტენციები გულისხმობს პროეაქტიულობის წახალისება და არა პასიურობას; პროაქტიულობის წახალისებით ჩვენ უნდა გავაძლიეროთ ახალგაზრდები რომ იფიქრონ ანალიტიკურად, იყვნენ ცნობისმოყვარეები, მაძიებლები; აიღონ პასუხისმგებლობა საკუთარ ცხოვრებასა და ქმედებებზე, და იმის ნაცვლად რომ მიჰყვნენ ცხოვრებას, თავად წარმართონ იგი.

სამყარო რომელშიც ვცხოვრობთ უფრო მეტად ხელს უწყობს პასიურობას და ზედაპირულობას ვიდრე პროაქტიულობას. მე ყოველთვის ვახსენებ ინფომრაციის სამ ბიტიან სინქრონს, რომელიც გვაძლევს სიტუაციის ზედაპირულ ხედვას უფრო ღრმა რეფლექსიისა და ანალიზის წახალისების გარეშე. ავიღოთ გართობის პოპულარული ფორმები, როგორიცაა ტელევიზორის ხურება ან კომპიუტერული თამაშები. ესენი უმეტესწილად მთლიანად პასიური აქტივობებია, რომლებიც არ ასახავს არც რეალობას და არც ხელს უწყობს მის ასახვას. სამუშაოს და ბიზნესის რეალური სამყარო ხშირად, ტრადიციული სასკოლო გარემოს პირობებში, შორსაა მოსწავლის გამოცდილებისგან, და ნაკლებად უწყობს ხელს მოსწავლეების ცხოვრებაში პრაქტიკულ მიდგომას.

საბედნიეროდ, ყოველთვის არის გამონაკლისები. პროექტში *BELL, ბისნესის ეკონომიკა, ენის შესწავლა,* მოსწავლეები არამხოლოდ იუმჯობესებენ ბიზნეს-ინგლისურს, ასევე სწავლობენ ბიზნესსა და სამუშაო ადგილზე სამართლიანი ვაჭრობის კონცეფციას. პროექტის ფარგლებში მათ შეისწავლეს თუ როგორ მუშაობ სამართლიანი ვაჭრობა ადგილობრივად და გლობალურად, როგორ იძენს ფული თავის ღირებულებას, როგორ აწარმოებენ პატარა კომპანიები პროდუქციასა და მომსახურება; ატარებენ კვლევას ბიზნესის მოდელებზე და იყენებენ მათ პრაქტიკაში. სწავლის პროცესი გადატანილი იქნა რეალურ სიტუაციაში, მათ დააარსეს კომპანია და ივაჭრეს ერთმანეთთან ნამდვილი პროდუქციით. თუ ესტუმრებით TwinSpace http://new-twinspace.etwinning.net/web/p36261/welcome გვერდს გაიგებთ თუ რა სიღრმეებს მიაღწია პროექტმა საკვანძო კონცეფციების გამოყენების თვალსაზრისით.

მეორე გამონაკლისი შეგვიძლია ვნახოთ პროექტში *პიცის ბიზნესი ევროპის მასშტაბით.* აქ ამოცანა მოითხოვდა არა მხოლოდ საჭმელების წარმოშობის შესწავლას, არამედ ბიზნესის იმ პარამეტრების შესწავლას, რომლებიც საჭირო იყო პიცის საწარმოებლად. სტუდენტებმა შექმნეს ბიზნეს მოდელები, ინტერვიუები ჩაატარეს პიცის ბიზნესის მფლობელებთან და ბაზრის კვლევაზე დაყრდნობით თანატოლებთან ერთად შექმნეს საკუთარი რეცეპტი. პროექტი მთლიანად შესანიშნავი მაგალითია თუ როგორ უნდა დაანახო მოსწავლეს პრაქტიკაში ბიზნესის მუშაობა და აჩვენო თუ როგორ უნდა განავითარონ მათვე ინიცირებული იდეები.

ინტერვიუ მასწავლებელთან:

https://www.youtube.com/watch?v=z_NiYi3U9HM

http://pizzacrosseuropetorneo.blogspot.ie/

http://www.pizzabusiness.altervista.org/

კულტურული ცნობიერება და გამოხატვა

იდეების, გამოცდილების, ემოციების შემოქმედებითად გამოხატვის მნიშვნელოვნების დაფასება რიგი მედია საშუალებებით, როგორებიცაა: მუსიკა, თეატრალური წარმოდგენა, ლიტერატურა და ვიზუალური ხელოვნება.

ამ კომპეტენციასთან დაკავშირებული ცოდნა, უნარები და დამოკიდებულებები

კულტურული ცოდნა მოიცავს ადგილობრივი, ეროვნული და ევროპული კულტურული მემკვიდრეობის და მსოფლიოში მისი ადგილის მიმართ ცნობადობას. ის მოიცავს მთავარი კულტურული ნამუშევრების, მათ შორის პოპულარული თანამედროვე კულტურის, საბაზო ცოდნას. ის უმთავრესია ევროპაში და მსოფლიოს სხვა რეგიონებში კულტურული და ლინგვისტური მრავალფეროვნების გასაგებად, მისი დაცვის და დღევანდელ ცხოვრებაში ესთეტიკური ფაქტორების მნიშვნელობის გასაგებად.

დაფასებასთან და გამოხატვასთან დაკავშირებული უნარები: ხელოვნების ნიმუშების და წარმოდგენის, ასევე სხვადასხვა მედიის საშუალებით თანდაყოლილი ნიჭის გამოხატვის დაფასება და მისგან სიამოვნების მიღება. უნარები ასევე მოიცავს შესაძლებლობას რომ დააკავშირო საკუთარი შემოქმედებითი და გამოხატვითი აზრები სხვების მოსაზრებებთან და განსაზღვრო და გააცნობიერო კულტურულ აქტივობებთან დაკავშირებული სოციალური და ეკონომიკური შესაძლებლობები. კულტურული გამოხატვა უმნიშვნელოვანესია შემოქმედებითი უნარების გასავითარებლად, რომელიც შეიძლება გადატანილ იქნას სხვადასხვა პროფესიულ კონტექსტში.

მყარი კულტურული გააზრება და იდენტობის გრძნობა არის მრავალფეროვანი კულტურის მიმართ პატივისცემისა და ღიაობის საფუძველი. დადებითი დამოკიდებულება გულისხმობს შემოქმედებითობას და ესთეტიკური გარემოს კულტივირების სურვილს არტისტული თვითგამოხატვის და კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობის გზით.

ტანდემი

„რა რესურსების პოვნა შეიძლება სიძველეებში? მოსწავლეები შეადარებენ საფრანგეთსა და ესპანეთს, რათა გაიგონ, დასვან კითხვები, გააანალიზონ და იგრძნონ „ცივილიზაციის კლასიკის“ მიმართ მფლობელობა“

”

პროექტის ბმული: www.etwinning.net/profile/tandem

ვიდეო პროექტის შესახებ მასწავლებლებთან და მოსწავლეებთან ინტერვიუებით:
https://www.youtube.com/watch?v=INSldTSQUD4

TS TwinSpace: www.etwinning.net/twinspace/tandem

„მიღებული გამოცდილებით, თავიანთ პარტნიორებთან საუბრით გააცნობიერეს რომ ყველაზე მნიშვნელოვანი რესურსების მოძიებაა“ ფრანგი მასწავლებელი

“„ამ ყველაფრის ორგანიზება სახალისო იყო, ჩაცმულობა და ლათინური ფრაზების წარმოთქმა მე ძალიან მომეწონა“ ესპანელი მოსწავლე

„ჩვენ გამოვიყენეთ რეალური გარემო და შევქმენით კონტრასტი ძველსა და ახალს შორის“ ფრანგი მოსწავლე

პეკი

„ჩვენი პატარა ხოჭოს - პეკის ახალი სახალისო თავგადასავალი. მეტი ადგილების აღმოჩენა და გაზიარება. მოსწავლეების ახალი თაობა მზად არის ერთმანეთთან თანამშრომლობისთვის, რათა შექმნან უფრო სახალისო და უნიკალური გარემო“ თითოეული ამბავი გამოგონილია სხვადასხვა ქვეყნის მოსწავლეების მიერ. შედეგად მივიღეთ ბევრი რეალური საკითხი და წიგნი სხვადასხვა ენებზე.

პროექტის ბმული: www.etwinning.net/profile/pek

ვიდეო პროექტის შესახებ მასწავლებლებთან და მოსწავლეებთან ინტერვიუებით:
http://youtu.be/vDCPJDRDDt8

პროექტის ნაკრები: www.etwinning.net/kit/pek

TwinSpace: www.etwinning.net/twinspace/pek

„მე ვწერდი სცენარს პეკის ამბისთვის“ ფრანგი მოსწავლე

„ყველაზე კარგი აქტივობა იყო, როცა მე ვიმღერე, რადგან მე ძალიან მიყვარს სიმღერა“ მარია რუმინეთიდან

„ამ პროექტის საშუალებით სტუდენტებს შეუძლიათ შექმნან რაღაც რეალური და შეხედონ ევროკავშირის დასაქმების ბაზარს“ ესპანელი მასწავლებელი

ექსპერტის მოსაზრება

ენ გილერანი - უფროსი პედაგოგიური მრჩეველი

ჩვენ უკვე შევეხეთ კულტურულ ცნობადობას სხვა უკვე განხილულ კომპეტენციებთან მიმართებით, რაც ჩემთვის ხაზს უსვამს თუ როგორ არიან ყველა საკვანძო კომპეტენციები ერთმანეთთან დაკავშირებულნი. ჩვენ ვისაუბრებთ თუ რამდენად მნიშვნელოვანია სხვა კულტურის გააზრების გაღრმავება რათა შევძლოთ სამყაროს დანახვა კულტურის პერსპექტივიდან. თუმცა, კულტურული ცნობიერება მოიცავს არამხოლოდ სხვა ხალხის კულტურის ცნობადობას და დაფასებას, არამედ ასევე ჩვენი საკუთარი კულტურის ფესვების და მემკვიდრეობის, ფოლკლორის და ტრადიციების მიმართ ცოდნის და გაგების გაღრმავებას. ამასთან ერთად, ეს მოიცავს კულტურის ესთეტიკური გამოხატვის დაფასებას, მუსიკას, მხატვრულ ლიტერატურას, თეატრს, ცეკვას, არქიტექტურას...

პირველი პროექტი *ტანდემი* ორიენტირებულია კულტურული ცნობიერების კომპეტენციის ამ ბოლო ნაწილზე, პროექტის ორი ენის, ფრანგულის და ესპანურის მის ლათინურ ფუძესთან დაბრუნების გზით. მიზანი იყოს იმის გაგება თუ რა გავლენა აქვს ლათინურს როგორც ენას; დანახვა რომ ლათინური სიტყვები და ფრაზები ისევ გამოიყენება დღევანდელი სალაპარაკო ენის ნაწილად. მათ ასევე შეადარეს ძველი რომის ოჯახების ცხოვრება, ინსტიტუციები, ურბანული მენეჯმენტი და სხვა დღევანდელ სიტუაციასთან. მა ასევე ნახეს რომის კულტურის ესთეტიკური მხარეები, ხელოვნება და რა თქმა უნდა, შემორჩენილი მონუმენტები და შენობები.

პროექტმა *პეკი- მოგზაური ხოჭო* გამოიყენა განსხვავებული მიდგომა. მოსწავლეები საფრანგეთის, ესპანეთის, იტალიის, პორტუგალიის, ჩეხეთის და თურქეთის პროფესიული სკოლებიდან მუშაობდნენ ერთადა პატარა გმირის პეკის ამბის მოსაყოლად, რომელიც მოგზაურობდა ევროპაში. ისინი აღწერდნენ თუ რა ნახა, რა გაიგო, რა ჭამა და რა ისწავლა პეკმა იმ ადამიანებისა და ქვეყნების შესახებ რომლებსაც ესტუმრა. ამ ამბავმა ელექტრონული კომიქსის ფორმა მიიღო, რომელმაც განავითარა პროექტში ჩართული მოსწავლეების ციფრული და უცხოური ენის კომპეტენცია, ასევე გააფართოვა მათის შემოქმედებითობის და დაგეგმვის უნარები.

ჩვენ გავედით პროექტების მაგალითების ბოლოში, რომლებშიც ხაზგასმულია თუ როგორ შეიძლება საკვანძო კომპეტენციების განვითარება eTwinning-ის პროექტის მიდგომებით სხვადასხვა ქვეყნის მოსწავლეების ერთობლივი მუშაობის შედეგად. ასევე აღსანიშნავია, რომ eTwinning-ის პროქტი განსაკუთრებით ხელს უწყობს გამჭოლი, ურთიერთ გადამკვეთი უნარების განვითარებას, რომელთა განვითარებაც მასწავლებლებს უჭირთ სათითაო საგნის სწავლებისას.

დასკვნა

რას აჩვენებს წიგნში მოყვანილი პროექტების მაგალითები?

წიგნში მოყვანილი მაგალითები ნათლად აჩვენებს რომ პროექტზე დაფუძნებული სწავლება ნამდვილად შესანიშნავი საშუალებაა მოსწავლისთვის სხვადასხვა კომპეტენციების გასავითარებლად. მიუხედავად იმისა, რომ მოყვანილი მაგალითები დაკავშირებული იყო კონკრეტული საკვანძო კომპეტენციის განვითარებასთან, უნდა აღინიშნოს რომ პროექტების უმრავლესობა ავითარებს ერთზე მეტ საკვანძო კომპეტენციას, და ასევე გამჭოლ უნარებს. ეს მოიცავს: კრიტიკულ აზროვნებას, შემოქმედებითობას, ინიციატივის გამოჩენას, პრობლემის გადაჭრას, რისკების შეფასებას, გადაწყვეტილების მიღებას და გრძნობების კონსტრუქციულ მენეჯმენტს. სწორედ ეს ამდიდრებს პროექტზე დაფუძნებულ სწავლებას, ის მიმართულია რიგი კომპეტენციებისკენ, და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, დაკავშირებულია მნიშვნელოვან საკითხებთან, რომლებიც გამყარებულია რეალური ცხოვრებისეული სიტუაციებით. ინტერდისციპლინური სწავლება, რაც ასახულია რამდენიმე პროექტში გაძლიერებულია, როცა მოსწავლეებთან და მასწავლებლებთან სათანამშრომლოდ გარედან არიან პროფესიონალები მოწვეულნი.

მეორე მნიშვნელოვანი ასპექტი, რომელიც წამოწეულია სანიმუშო პროექტებში არის მოსწავლეებისთვის საკუთარ სწავლებაზე პასუხისმგებლობის აღების საშუალების მიცემა. ეს მიიღწევა, იმის გათვალისწინების შედეგად აქვს თუ არა მოსწავლეს სათქმელი იმ თემაზე რომელზეც მუშაობს და რა როლის შესრულება შეუძლია პროექტის განხორციელებაში. სწორედ ამიტომ მოსწავლეებს საშუალება აქვთ აქტიურად აკონტროლონ საკუთარი სწავლის პროცესი და განსაზღვრო თუ რა გზით სწავლობენ უკეთესად. წიგნში მოყვანილი მაგალითები ასევე წარმატებული აღმოჩნდა მოსწავლეების ჩართვის და მოტივირების თვალსაზრისით ღრმა, ძიებითი, ღია კითხვების გამოყენებით, ასევე სწავლის პროცესის გასაუმჯობესებლად ტექნოლოგიური ინოვაციების გამოყენებით. პროექტში მონაწილეებს - მოსწავლეებს, მასწავლებლებს, გარე პროფესიონალებს, მშობლებსა და ფართო საზოგადოებას შორის თანამშრომლობა და კომუნიკაცია უმნიშვნელოვანესია. ზემოთნახსენები ასპექტების გარდა, თანამშრომლობა წარმოადგენს ყველა eTwinning-ის პროექტის გულს. ჩვენ იმედი გვაქვს რომ წიგნში მოყვანილი პროექტებით

შთგონებულნი დაიწყებთ თანამშრომლობას თქვენივე უფრო მეტი პროექტების განსახორციელებლად.

როგორ ეხმარება eTwinning მასწავლებლებს მათი კომპეტენციების განვითარებაში?

წიგნში მოყვანილი მაგალითები ფოკუსირებას ახდენდა მოსწავლეების კომპეტენციების წარმატებულ განვითარებაზე. როგორც ვნახეთ, პროექტების განხორციელება ძალიან სასარგებლოა, მაგრამ ასევე თან ახლავს გამოწვევები. შესაბამისად, მასწავლებლებს სჭირდებათ შესაბამისი მხარდაჭერა, რომ განავითარონ პროექტზე დაფუძნებული სწავლება და სხვა მასთან დაკავშირებული მეთოდები, რომლებიც ხელს უწყობენ კომპეტენციაზე დაფუძნებულ მიდგომას, როგორც პირველადი მასწავლებლის მომზადების ჩარჩოთი ასევე შემდგომის წავლებისა და კოლეგების ურთიერთ დახმარების საშუალებით. eTwinning სწორედ ამას აკეთებს, სასწავლო ღონისძიებების და ჯგუფების, ასევე მასწავლებლებს შორის არაფორმალური ქსელის საშუალებით. ეს პროფესიული განვითარების შესაძლებლობა აძლევს მასწავლებლებს მათთვის საჭირო დროსა და სივრცეს რომ ისარგებლონ ექსპერტული რესურსით, ასევე ურთიერთ გაზიარებითა და გაცვლით, რათა განავითარონ პედაგოგიური კომპეტენცია სხვადასხვა სფეროსა და კონტექსტში, მათ შორის, ტექნოლოგიების საშუალებით სწავლების გაუმჯობესება, შინაარსისა და ენის ინტეგრირებული სწავლება (CLIL), საერთაშორისო თანამშრომლობა და პროექტზე დაფუძნებული სწავლება. eTwinning ხელს უწყობს სასკოლო გუნდების ჩამოყალიბებას თანამშრომლობითი სწავლებისა და კულტურათაშორისი მიდგომის განვითარების ხელშესაწყობად. ამას გარდა, eTwinning-ის ელჩები და მასწავლებლები რეგულარულად ერთვებიან ონლაინ ურთიერთ სწავლებაში. ონლაინ ტუტორიალები, სხვა წარმატებულ აქტივობებს შორის, ერთ-ერთი ყველაზე კარგად გამოყენებადი გადამზადების საშუალებაა.

eTwinning ცდილობს მასწავლებლების კომპეტენციების განვითარებას, რათა უზრუნველყოს რომ მათ შეუძლიათ ახალგაზრდებს განუვითარონ საჭირო ცოდნა, უნარები და დამოკიდებულებები რაც მათ მიიყვანს სრულყოფილ პროფესიულ და პირად ცხოვრებამდე. eTwinning-ის სურვილია განაგრძოს მასწავლებლების კომპეტენციების განვითარებაზე მუშაობა, და აღჭურვოს მასწავლებლები მათ წინაში არსებული პედაგოგიური გამოწვევების გადასალახად საჭირო უნარებით.

ეროვნული და ევროპული ოფისების საკონტაქტო ინფორმაცია

eTwinning-ის ცენტრალური მხარდაჭერის სამსახური

ევროპული სქულნეტი
www.etwinning.net
info@etwinning.net

ცენტრალური მხარდაჭერის სამსახურში მუშაობს დახმარების მომსახურება, სკოლებისთვის eTwinning-თან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაციის მიწოდებისა თუ პრობლემების მოსაგვარებლად helpdesk@etwinning.net.
ნებისმიერი ინფორმაციის მისაღებად მასწავლებლებს შეუძლიათ პირდაპირ დაუკავშირდნენ მათ ეროვნული მხარდაჭერის სამსახურებს.

ეროვნული მხარდაჭერის სამსახური

მიიღე დახმარება შენს ენაზე
ეროვნული მხარდაჭერის სამსახური წარმოადგენს eTwinning-ს თქვენს ქვეყანაში. დახმარებისთვის შეგიძლიათ პირდაპირ მათ დაუკავშირდეთ ქვემოთ მოყვანილი საკონტაქტო ინფორმაციის საშუალებით.

ალბანეთი

განათლების ტექნოლოგიებისა და სტატისტიკის დეპარტამენტი
ალბანეთის განათლებისა და სპორტის სამინისტრო
საკონტაქტო პირი: ორნელა კოლეკა

ავსტრია

Österreichische Nationalagentur Lebenslanges Lernen
(ავსტრიის მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის ეროვნული სააგენტო)
საკონტაქტო პირები: ურსულა პანუშკა, მარტინ გრადლი, მარსელა ალზინი
eTwinning-ის ვებ გვერდი: www.etwinning.at

ბელგია (ფრანგულად მოლაპარაკე თემი)

Ministère de la Communauté française
(ფრანგულად მოლაპარაკე თემის სამინისტრო)
საკონტაქტო პირი: სესილ გოზე
eTwinning-ის ვებ გვერდი: www.enseignement.be/etwinning

ბელგია (ჰოლანდიურად მოლაპარაკე თემი)

EPOS vzw
საკონტაქტო პირი: სარა გილისენი
eTwinning-ის ვებ გვერდი: www.etwinning.be

ბელგია (გერმანულად მოლაპარაკე თემი)

eTwinning Koordinierungsstelle in der DG
Jugendbüro der DG
საკონტაქტო პირი: მიშელ პომე
eTwinning-ის ვებ გვერდი: http://www.jugendbuero.be/unsere-programme/erasmusplus/etwinning/

ბოსნია და ჰერცოგოვინა

სკოლანდელი, დაწყებითი და საშუალო განათლების სააგენტო
საკონტაქტო პირი: ჟანეტა ძუმური

ბულგარეთი

Център за развитие на човешките ресурси
(ადამიანური რესურსების განვითარების ცენტრი)
საკონტაქტო პირი: მილენა კარანგოვა
eTwinning-ის ვებ გვერდი: etwinning.hrdc.bg

ხორვატია

Agencija za mobilnost i programe Europske unije
(ევროკავშირის პროგრამებისა და მობილობის სააგენტო)
საკონტაქტო პირი: ტეა რეჟეკი
eTwinning-ის ვებ გვერდი: http://www.etwinning.hr/

ჩეხეთი

Dům zahraničních služeb – Národní agentura pro evropské vzdělávací programy
(საერთაშორისო მომსახურების ცენტრი - ევროპული საგანმანათლებლო პროგრამების ეროვნული სააგენტო)
საკონტაქტო პირები: ბარბარა გრეჩნეროვა, პავლა საბატკოვა
eTwinning-ის ვებ გვერდი: www.etwinning.cz

კვიპროსი

ევროპული მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლების პროგრამების მენეჯმენტის ფონდი
საკონტაქტო პირი: თეკლა კრისტოდოულიდოუ და სილვია

სოლომონიდოუ
eTwinning-ის ვებ გვერდი: www.llp.org.cy/etwinning

დანია

UNI-C
(დანიის განათლებისა და კვლევების საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი)
საკონტაქტო პირი: კლაუს ბერგი, ებე შულცი
eTwinning-ის ვებ გვერდი: http://etwinning.emu.dk

ესტონეთი

Hariduse Infotehnoloogia Sihtasutus
(განათლების საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი)
საკონტაქტო პირი: ელო ალემანი
eTwinning-ის ვებ გვერდი: www.tiigrihype.ee

ფინეთი

Opetushallitus
(განათლების ეროვნული საბჭო)
საკონტაქტო პირი: Yrjö Hyötyniemi
eTwinning-ის ვებ გვერდი: www.edu.fi/etwinning (ფინურად)
www.edu.fi/etwinning/svenska (შვედურად)

საფრანგეთი

Scérén-Cndp
Bureau d'assistance national français (BAN)
საკონტაქტო პირი: მარი-კრისტინ ცლემენტ ბონიომე
eTwinning-ის ვებ გვერდი: www.etwinning.fr

მაკედონია (ყოფილი იუგოსლავია)

Национална агенција за европски образовни програми и мобилност
(ევროპული საგანმანათლებლო პროგრამებისა და მობილობის ეროვნული სააგენტო)
საკონტაქტო პირი: დეჟან ზლატკოვსკი
eTwinning-ის ვებ გვერდი: http://www.etwinning.mk

გერმანია

Pädagogischer Austauschdienst des Sekretariats der Kultusministerkonferenz

საკონტაქტო პირი: ელენ კამერტონში
eTwinning-ის ვებ გვერდი: www.etwinning.de

საბერძნეთი
CTI "Diophantus" კომპიუტერული ტექნოლოგიების ინსტიტუტი
Ινστιτούτο Τεχνολογίας Υπολογιστών και Εκδόσεων (ΙΤΥΕ - ΔΙΟΦΑΝΤΟΣ)
კონტაქტი: eTwinning-team
eTwinning-ის ვებ გვერდი: www.etwinning.gr

უნგრეთი
Educatio Társadalmi Szolgáltató Nonprofit Kft. - Digitális Pedagógia Osztály
(განათლების საჯარო სამსახური, არასამეწარმეო შპს - ციფრული განათლების დეპარტამენტი
კონტაქტი: etwinning@educatio.hu
eTwinning-ის ვებ გვერდი: www.etwinning.hu

ისლანდია
Rannis - ისლანდიის კვლევების ცენტრი
საკონტაქტო პირი: Guðmundur Ingi Markússon
eTwinning-ის ვებ გვერდი: www.etwinning.is

ირლანდია
Léargas, The Exchange Bureau
საკონტაქტო პირი: მარი ჰაროთი
eTwinning-ის ვებ გვერდი: www.etwinning.ie

იტალია
INDIRE - Istituto Nazionale di Documentazione, Innovazione e Ricerca Educativa
(დოკუმენტირების, ინოვაციისა და საგანმანათლებლო კვლევების ეროვნული ინსტიტუტი)
კონტაქტი: etwinning@indire.it
Helpdesk: etwinning.helpdesk@indire.it
eTwinning-ის ვებ გვერდი: www.etwinning.it

ლატვია
Valsts aģentūra "Jaunatnes starptautisko programmu aģentūra"
(საერთაშორისო ახალგაზრდული პროექტების სააგენტო)
კონტაქტი: სანტა პრანკანე, info@etwinning.lv

eTwinning-ის ვებ გვერდი: www.etwinning.lv

ლიხტენშტეინი
Agentur für Internationale Bildungsangelegenheiten
კონტაქტის: სტეფან შიოლერი

ლიტვა
Švietimo mainų paramos fondas / Nacionalinė agentūra, atsakinga už Erasmus+
(განათლების გაცვლითი პროგრამების მხარდაჭერის ფონდი/ Erasmus+ის ეროვნული სააგენტო)
კონტაქტი: Violeta Čiuplytė
eTwinning-ის ვებ გვერდი: http://www.etwinning.lt

ლუქსემბურგი
ANEFORE asbl - Agence Nationale pour le programme européen d'éducation et de formation tout au long de la vie
კონტაქტი: საშა დუბლინი
eTwinning-ის ვებ გვერდი: www.eTwinning.lu

მალტა
განათლების ხარისხისა და სტანდარტების დირექტორატი
კურიკულუმის მართვისა და ელექტრონული სწავლების დეპარტამენტი
კონტაქტი: ამანდა დებატისტა, ჟაკლინ ფრენდო
eTwinning-ის ვებ გვერდი: http://etwinning.skola.edu.mt

ნიდერლანდები
EP-Nuffic
კონტაქტი: Marjolein Mennes; etwinning@epuffic.nl
eTwinning-ის ვებ გვერდი: www.etwinning.nl
+31 70 4260 260

ნორვეგია
Senter for IKT i Utdanningen
(განათლებაში საინფორმაციო ტექნოლოგიების ნორვეგიული ცენტრი)
კონტაქტი: Lisbeth Knutsdatter Gregersen
eTwinning-ის ვებ გვერდი: http://iktsenteret.no/prosjekter/etwinning & http://iktipraksis.no/etwinning

პოლონეთი
განათლების სისტემის განვითარების ფონდი

კონტაქტი: ბარბარა მილევსკა; etwinning@frse.org.pl
eTwinning-ის ვებ გვერდი: www.etwinning.pl

პორტუგალია
Direção-Geral da Educação – Ministério da Educação e Ciência
(ზოგადი განათლების დირექტორატი – განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო)
Equipa de Recursos e Tecnologias (ERTE)
(რესურსებისა დ საგანმანათლებლო ტექნოლოგიების ჯგუფი)
კონტაქტი: eTwinning@dge.mec.pt
eTwinning-ის ვებ გვერდი: http://etwinning.dge.mec.pt/

რუმინეთი
Institutul de Stiinte ale Educatiei
(განათლების მეცნიერების ინსტიტუტი)
კონტაქტი: სიმონა ველეა
eTwinning-ის ვებ გვერდი: www.etwinning.ro

სერბეთი
ტემპუსის ფონდი
კონტაქტი: etwinning@tempus.ac.rs

სლოვაკეთი
ზილიანას უნივერსიტეტი
კონტაქტი: ლუბიცა სოკოლიკოვა, გაბრიელა პოდოლანოვა
eTwinning-ის ვებ გვერდი: www.etwinning.sk

სლოვენია
Center RS za mobilnost in evropske programe izobraževanja in usposabljanja - CMEPIUS
(სლოვენიის რესპუბლიკის მობილობისა და საგანმანათლებლო მომზადების პროგრამების ცენტრი)
კონტაქტი: etwinning@cmepius.si
eTwinning-ის ვებ გვერდი: www.cmepius.si/etwinning.aspx

ესპანეთი
Instituto Nacional de Tecnologías Educativas y de Formación del Profesorado
Ministerio de Educación, Cultura y Deporte

(განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო)
კონტაქტი: კარლოს ჯ. მედინა
eTwinning-ის ვებ გვერდი: www.etwinning.es

შვედეთი
Universitets- och högskolerådet.
(შვედეთის უმაღლესი განათლების საბჭო)
კონტაქტი: Anders Brännstedt, Jenny Nordqvist
eTwinning-ის ვებ გვერდი: www.utbyten.se

თურქეთი
MEB Yenilik ve Eğitim Teknolojileri Genel Müdürlüğü
(ეროვნული განათლების სამინისტრო: ინოვაციისა და საგანმანათლებლო ტექნოლოგიების გენერალური დირექტორატი)
კონტაქტი: მურატ იათაგანი Murat YATAĞAN
eTwinning-ის ვებ გვერდი: http://etwinning.meb.gov.tr

გაერთიანებული სამეფო
ბრიტანეთის საკონსულო
კონტაქტი: eTwinning-Team
eTwinning-ის ვებ გვერდი: www.britishcouncil.org/etwinning

eTwinning პლუსით მხარდაჭერილი პარტნიორი სააგენტოები
eTwinning პლუსი (plus.etwinning.net) ევროპის უახლოესი მეზობელი ქვეყნების სკოლებს სთავაზობს eTwinning-ის მონაწილე სკოლებთან დამაკავშირებელ პლათფორმას.
eTwinning პლუსში მონაწილე ქვეყნები არიან აზერბაიჯანი, სომხეთი, საქართველო, მოლდოვა, ტუნისი და უკრაინა.
eTwinning პლუსში მონაწილე თითოეულ ქვეყანისთვის გამოყოფილია პარტნიორი მხარდამჭერი სააგენტო (PSA). PSA-ს ფუნქციას წარმოადგენს eTwinning პლუზე მასწავლებლების რეგისტრაცია, eTwinning პლუსი სამუშაო მაგიდი გამოყენებასთან დაკავშირებით მასწავლებლების ტრენინგები და დახმარება, და ასევე დახმარების გაწევა eTwinning -ის ქვეყნის შესაბამისი პარტნიორი სკოლის მოსაძებნად.

სომხეთი
განათლების ტექნოლოგიების ეროვნული ცენტრი (NCET)
etwinningplus.armedu.am
კონტაქტი: etwinning@ktak.am

აზერბაიჯანი
Madad Azerbaijan
http://madad.az/etwinningplus/
კონტაქტი: etw@madad.net

საქართველო
მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი (TPDC)
კონტაქტი: etwinningplus@tpdc.ge

მოლდოვა
მოლდოვის აღმოსავლეთ ევროპის ფონდი (EEF)
http://www.eef.md/
კონტაქტი: info@etwinning.md

ტუნისი
განათლების ტექნოლოგიების ეროვნული ცენტრი (CNTE)
www.cnte.tn
კონტაქტი: etwinning@cnte.tn

უკრაინა
NSBC « Ukrainskiy proriv »
www.etwinning.com.ua
კონტაქტი: helpdesk@etwinning.com.ua

[1] Hoskins, B & Deakin Crick R., (2010) Competences for Learning to Learn and Active Citizenship: different currencies or two sides of the same coin? European Journal of Education, Vol. 45, Number 1, March.

[1] Legendre Marie-Françoise (2008). « La notion de compétence au coeur des réformes curriculaires : Effet de mode ou moteur de changements en profondeur ?

[1] დეტალური აღწერისთვის, თუ როგორ განსაზღვრავენ და ნერგავენ ევროკავშირის ქვეყნები საკვანძო კომპეტენციებს თავიანთ საგანმანათლებლო სისტემებში, იხილეთ Eurydice-ს ანგარიში Developing Key Competences at School in Europe და KeyCoNet (საკვანძო კომპეტენციები სასკოლო განათლებაში-ევროპის პოლიტიკის ქსელი)-ის ეროვნული ანგარიშებისა და სიტუაციური ანალიზის სერიები.

[1] ხელმისაწვდომია აქ: http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:32006H0962&from=EN

[1] ხელმისაწვდომია აქ: http://www.unesco.org/education/pdf/15_62.pdf

[1] ხელმისაწვდომია აქ: http://www.oecd.org/education/skills-beyond-schooldefinitionandselectionofcompetencies deseco.htm

[1] ხელმისაწვდომია აქ: www.p21.org

[1] ხელმისაწვდომია აქ: http://www.atc21s.org

[1] ევროპარლამენტის და ევროკომისიის 2006 წლის 18 დეკემბრის რეკომენდაციები მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლასთან დაკავშირებით რეკომენდაციები (2006/962/EC), ხელმისაწვდომია აქ: http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:32006H0962&from=EN

[1] ეროვნული საგანმანათლებლო რეფორმების სრული ჩამონათვალი KeyCoNet-ის ევროკავშირის ანგარიშში და შესაბამისი ქვეყნის მიმოხილვა ხელმისაწვდომია აქ: http://keyconet.eun.org/project-results.

შენიშვნები

58

59

eTwinning
European Schoolnet